პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 174 (19316) სამშაბათი, 30 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

მშვიდობა, მეგობრობა, სოლიდარობა!

XII·МОСКВА·1985

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — დამკვრელური შრომა!

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

დაზოგილი რესურსებით

წლევანდელმა დიდთოვლობამ, იშვიათმა მკაცრმა ზამთარმა, ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზა საკმაოდ დიდი ხნით დააკნინა. ზარალი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ბევრმა მათგანმა დღემდე ვერ შეძლო მისი ანაზღაურება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის რკინიგზელებიც, მაგრამ მათ ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ აპრილში გადაფარეს დანაკლისი და მოწინავე პოზიციებზე გავიდნენ. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს ათიათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო საქონელი მიაწოდეს. ეს წარმატება სსრ კავშირის გზათა მინისტრის სპეციალური ბრძანებით აღინიშნა და მრავალი ჩვენი რკინიგზელი ფულადი პრემიითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

მართალია, გაზეთმა „კომუნისტმა" ამის შესახებ თავის დროზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, მაგრამ წარსულს კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით დავუბრუნდით. ამიერკავკასიელ რკინიგზელთა გამართული მუშაობა კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში. ამჟამად აღიარეს მომჭირნეობისათვის ბრძოლაში მიღწეული მათი საუცხოო შედეგები: ნედლეულის, მასალების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შარშანდელ საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის ამიერკავკასიელებს გადაეცათ საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების საპატიო დიპლომი.

1984 წელს, თურმე, ამიერკავკასიის რკინიგზელებს 10.604 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 4507 ტონა სადიზელო სათბობი დაუზოგავთ. ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა მთელი ხუთი დღის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დაზოგილი რესურსებით განხორციელებულა.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა გადაწყვეტილებაა წლეულს სულ ცოტა სამი დღე მაინც იმუშაონ დაზოგილი რესურსებით.

(„კომუნისტის" კორ.).

შირაქის პურის გემო

წითელწყაროელმა მემინდვრეებმა ხუთწლედის დავალება შეასრულეს

შირაქისა და ივრისპირეთის პურს საუცხოო გემო აქვს. ეს აქაური მემინდვრეებისა და, რა თქმა უნდა, ბუნების წყალობაა. წელს აქ უხვი მოსავალი მოიწიეს. მემინდვრეობის საიჯარო ბრიგადების მექანიზატორები, მეკალოეები ენერგიას არ იშურებენ, რომ წლის მოსავალი უდანაკარგოდ აილონ და დააბინაონ. ამასთან, მკის დამთავრებისთანავე ნამჯას წნეხავენ და ფერმებთან ეზიდებიან. ნაყანევს კი ხნავენ და სანაწვერალო კულტურებს თესავენ. ხორბალს სახელმწიფო ბეღელში აბარებენ.

ასეთი ორგანიზებული გარჯის შედეგია, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა, 107.568 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 110.700 ტონა მარცვლეული. ალოობა კი გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ჭარაქაშვილმა და სახალხო დეპუტატთა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ მ. ბუნჩიკოვამ.

ნობათი სამშობლოს

ჩოხატაური

აბრეშუმის პარკის დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესრულება ქვეყანას უპატაკეს ჩოხატაურის რაიონის სახელოვანმა მშრომელებმა, რომლებმაც 191 ცენტნერი აბრეშუმის პარკი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რაც საგეგმო დავალებაზე მეტია.

ვანი

კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმის შესრულების შესახებ მიღებულია ცნობა აგრეთვე ვანის რაიონიდან. აქაურმა მეხილეებმა გადაჭარბებით შეასრულეს კურკოვანი ხილის საკავშირო ფონდში გაგზავნის დავალება. 700 ტონის ნაცვლად გაგზავნილია 710 ტონა.

მოწინავეთა მხარდამხარ

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მრავალი მუშა. ერთი მათგანი გახლავთ № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა მქსოველი, კომუნისტი ქეთევან ტორღვაშვილი, რომელიც მონდომებით ეკიდება საქმეს.

სურათზე: ქეთევან ტორღვაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება

ახლანდელი გამალებული ბირთვული შეიარაღება უდიდეს საშიშროებას უქადის მთელი მსოფლიო ცივილიზაციის მომავალს, იგი ამწვავებს დაძაბულობას საერთაშორისო ასპარეზზე და აძლიერებს ომის საფრთხეს, აღმშენებლობით მიზნებს ართმევს კოლოსალურ ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს.

ბირთვული ხანის დაწყებიდანვე საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და ენერგიულად იბრძვის ბირთვული არსენალების დაგროვების შეწყვეტისათვის, სამხედრო მეტოქეობის ალაგმვისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ამას ემსახურება თავისი მასშტაბით უდიდესი მთელი საქმიანობა სსრ კავშირისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხებისადმი მიძღვნილ მრავალმხრივ და ორმხრივ მოლაპარაკებებზე. საბჭოთა კავშირი არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას — იგი მხარს უჭერს სამხედრო ძალების წონასწორობის შენარჩუნებას რაც შეიძლება დაბალ დონეზე.

დედამიწაზე სტრატეგიული სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცებაში, ჩვენი რწმენით, დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტა. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ასეთი გამოცდების პროცესში შემუშავდება და იხვეწება მასობრივი მოსპობის ახალი, კიდევ უფრო საშიში სახეობებისა და ტიპის იარაღი.

ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად სსრ კავშირს არაერთხელ შეუთავაზებია ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებისათვის შეთანხმებულიყვნენ ყოველგვარი ბირთვული აფეთქებების მორატორიუმზე, ურთიერთშეთანხმებული თარიღით დაწყებული. სამწუხაროდ, ამ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა ჯერ ვერ მოხერხდა.

ესწრაფვის რა ხელი შეუწყოს ბირთვული არსენალების გადიდებაში საშიში შეჯიბრების შეწყვეტას და სურს რა კარგი მაგალითის ჩვენება, საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქებები ამა წლის 6 აგვისტოდან. შეერთებული შტატების მთავრობას მოვუწოდებთ შეწყვიტოს ამავე თარიღიდან, რომელიც მთელ მსოფლიოში აღინიშნება ჰიროსიმის ტრაგედიის დღედ, თავისი ბირთვული აფეთქებები. ჩვენი მორატორიუმი ცხადდება 1986 წლის 1 იანვრამდე. მაგრამ იგი შემდგომაც იმოქმედებს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ თავს შეიკავებს ბირთვულ აფეთქებათა მოწყობისაგან.

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარი ბირთვული აფეთქების ორმხრივი მორატორიუმი კარგ მაგალითს მისცემდა სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ.

საბჭოთა კავშირი მოელის, რომ შეერთებული შტატები პოზიტიურად გამოეხმაურება ამ თაოსნობას, შეწყვეტს თავის ბირთვულ აფეთქებებს.

ეს ყველა ხალხის მისწრაფებასა და იმედებს შეესატყვისება.

ფორუმის შუქები

თეატრი

ამ დღეებში ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ ახლოს გაეცნონ დიდი თეატრის სახელგანთქმული კოლექტივის ცხოვრებას, უშუალოდ შეხვდნენ და ესაუბრონ აღიარებულ სოლისტებს, ქორეოგრაფებს, მუსიკოსებს.

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნებისა და ბალეტის სპეციალურ შემოქმედებითს სახელოსნოში, რომელიც თავისებური სასწავლო ლაბორატორიაც გახლავთ, გაიმართება ეროვნულ დელეგაციათა რჩეული რეპერტუარის ჩვენება-განხილვა, დისკუსიები ჟანრის თაობაზე, იმპროვიზებული კონცერტები.

საფესტივალო სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებს დიდი თეატრის „ფერია", საერთაშორისო საბალეტო ხელოვნების კონკურსების გამარჯვებული ნინო ანანიაშვილი.

კინო

მოსკოვის 49 კინოთეატრში მოეწყობა ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ფილმების ჩვენება დევიზით „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის". ეს იქნება საბჭოთა კინოს სარეტრო ჩვენება: ეიზენშტეინი, პუდოვკინი, დოვჟენკო, შენგელაია, კოზინცევი, პირიევი, იუტკევიჩი, კალატოზიშვილი. საბჭოთა კინოს აღიარებული დიდოსტატების სამიდღო ცვლა: ბონდარჩუკი, ჩხეიძე, კლიმოვი, მიხალკოვი, იოსელიანი, ძმები შენგელაიები, ღოღობერიძე, კვირიკაძე, ჭალატოზიშვილი, დანელია...

საფესტივალო პროგრამაშია უცხოელი კინემატოგრაფისტებისა და სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა კინორეჟისორთა ნამუშევრები.

მხატვრობა

გახსნის დღიდანვე დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავს ქართველ გრაფიკოსთა ნამუშევრების გამოფენას საბჭოთა კავშირის მხატვართა სამხატვრო დარბაზში.

ფესტივალის სტუმრებს საშუალება აქვთ გაეცნონ ი. გიგოშვილის, გ. ღლონტის, ზ. დეისაძის, მ. ჭაფარიძის, გ. დოლენჯაშვილის, ქ. ფაჩულიას, მ. თავაძის, ნ. ცინცაძისა და ნ. ბურღულიას ნახატებს, რომლებიც თანამედროვე თემატიკისა და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისადმი აქტიური დამოკიდებულებით ხასიათდება.

მუსიკა

ფესტივალის დღეებში გაიხსნა კლასიკური და თანამედროვე მუსიკის სახელოსნო, რომელსაც კომპოზიტორი ა. ეშპაი ხელმძღვანელობს. ღონისძიებები გაიმართება კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში, აგრეთვე კომპოზიტორთა სახლის სცენაზე.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი თანამემამულენი: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი ზ. სოტკილავა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პ. ბურჭულაძე.

სურათზე: მიტინგი გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის შადრევნის მოედანზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

„ახალგაზრდობა და სტუდენტები მშვიდობის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში" — ამ დევიზით ჩაიარა ფორუმის მეორე დღემ, რომელიც ინტერნაციონალური შრომითი აქციით დაიწყო...

პოკლონის მთაზე

მშვიდობა დედამიწაზე მისივე დამცველთა სიფხიზლით სუფევს. დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წელს წარსული კვლავ გვაფრთხილებს: „ომი არ უნდა განმეორდეს!".

ეს სიტყვები რუსულ და ინგლისურ ენებზე წარწერილია ტრანსპარანტებზე, რომლებიც გამარჯვების დიდებული მემორიალის საყოველთაო-სახალხო მშენებლობას ამშვენებს. ფესტივალის დელეგატები და სტუმრები დილიდანვე შეიკრიბნენ მოედანზე, სადაც ცენტრალური მონუმენტი აღიმართება.

...დილის 9 საათია. იწყება მიტინგი, რომლის ყველაზე საპატიო მონაწილენი დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მეორე მსოფლიო ომის ანტიფაშისტები, წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლები არიან.

მიკროფონთან არის ა. პ. რომენსკი, დიდი სამამულო ომის მონაწილე და სამი დიდების ორდენის კავალერი. იგი მოსკოვის № 2 საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომელია, ინსტიტუტისა, რომელიც აპროექტებს მემორიალს პოკლონის მთაზე.

— მე, წილად მხვდა ბედნიერება, — თქვა ვეტერანმა, — მონაწილეობა მიმეღო გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად წითელ მოედანზე გამართულ ისტორიულ პარადში. ამ მანიფესტაციით ჩვენ, ომის ქარცეცხლში გამოვლილებმა, ერთხელ კიდევ შევახსენეთ ადამიანებს: გახსოვდეთ და ნურასოდეს დაივიწყებთ იმათ, ვინც ქვეყნად მშვიდობა დაიცვა, ახალგაზრდებს კი მოგიწოდებთ, შეაკავშიროთ თქვენი რიგები და უფრო მტკიცედ ჩასჭიდოთ ხელი ერთმანეთს, რათა დაიცვათ პლანეტა ახალი ომის საფრთხისაგან.

სიმღერა „გამარჯვების დღე" ისმის პოკლონის მთაზე. მოედანზე გამოჩნდა ფრონტელთა საზეიმო პროცესია, რომელსაც ლითონის საფესტივალო გვირილით თავდაცული ჰურვები მოაქვს. ამ სიმბოლურ კონტეინერებში საბჭოთა გმირი ქალაქების მიწაა.

ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლებს მოედანზე შემოაქვთ დიდი საფესტივალო გვირილა, რომელიც ნელ-ნელა ცაში ააქვთ საჰაერო ბურთებს. მის ჩრდილქვეშ მშენებლობის მორიგი დღე იწყება. თითოეული ცვლა ფესტივალის რიტმით მუშაობს... მშენებარე ობიექტის ოთხივე მოედანზე, სადაც კი პლანეტის ახალგაზრდობა შრომობდა, უკვე შეაჯამეს შედეგები. შრომითი აქციის მონაწილე საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციებმა გამომუშავებული სახსრები გამარჯვების მონუმენტის მშენებლობის ფონდში გადარიცხეს.

და აქვე, პოკლონის მთაზე განაცხადა პლანეტის ახალგაზრდობამ, რომ ახსოვს ყველა და ყველაფერი, რომ დავიწყების უფლება არა აქვს!..

• • •

მოსკოვის საქალაქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საბავშვო ცენტრი. ფესტივალის ამ პროგრამის უფროსი მონაწილენიც კი გააოცა „სათამაშო ქალაქმა", რომელიც ათასი სიურპრიზით წარუდგა ყველას.

• • •

მშვიდობისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და განიარაღებისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბრძოლას მიეძღვნა ფესტივალის პირველი მიტინგი, რომელიც გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის შადრევნის მოედანზე გაიმართა.

— მშვიდობისათვის ბრძოლა გამოხატავს პლანეტის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის მისწრაფებას, — აღნიშნა სრულიად აფრიკის სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარემ ვესე კონმენიმ, რომელმაც მიტინგი გახსნა.

— კომკავშირი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დღევანდელ მიტინგს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში, — თქვა მიტინგზე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. მიშინმა, კაცობრიობა ვიხსნათ ომებისაგან — ლენინის ამ ანდერძის ერთგულ კომკავშირს, თერმობირთვული ომის თავიდან აცილებისათვის,

(დასასრული მე-4 გვ.).

განვამტკიცოთ მოპოვებული, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ლითონი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება შავი მეტალურგიის საწარმოთა ტექნიკური განახლების შესახებ. დადგენილება ითვალისწინებს ღონისძიებათა ფართო კომპლექსს, რომელთა მიზანია დარგის საწარმოო ფონდების კარდინალური განახლება, მისი აყვანა თვისებრივად ახალ ტექნიკურ დონეზე ინტენსიური ფაქტორების გამოყენების მეშვეობით.

მომავალი მუშაობის მასშტაბი ძალიან დიდია, მათ შორის რესპუბლიკის ინდუსტრიის ფლაგმანში — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც. 27 ივლისს რუსთავში გაიმართა მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო საწარმოს საქმიანობის სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა და ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენებაში, სხვა ორატორების გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოს დაჩქარებული განვითარება უნდა მიმდინარეობდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უკანასკნელი მიღწევების, წარმოების რეზერვების უსწრაფესი გამოვლენისა და ამოქმედების, მრავალათასიანი ინტერნაციონალური კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეზე იდეოლოგიური, პარტიული ზეგავლენის გაძლიერების საფუძველზე.

პირველად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით დარგის საწარმოთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს, აღინიშნა კრებაზე. არადა, სულ რამდენიმე ხნის წინათ კოლექტივისათვის უცხო არ ყოფილა ამგვარი მოვლენები. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი მობილურობით, შრომისმოყვარეობით, მისწრაფებით — ყველაფერში მოწინავე ყოფილიყო.

მეტალურგიული ქარხანა, თქვეს აქტივის კრების მონაწილეებმა, რესპუბლიკის სიამაყე იყო და იქნება. მისმა დაბადებამ თავის დროზე სიცოცხლე შთაბერა ახალ სამრეწველო ცენტრს. რუსთავს სამართლიანად უწოდებენ ქართველი მეტალურგების, ქიმიკოსების, მშენებლების ქალაქს.

ახლანდელ შრომით გამარჯვებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი მოპოვებულია მუშაობის დაქვეითების შემდეგ, როცა მეტალურგებმა რამდენიმე დათმეს მანამდე მოპოვებული პოზიციები, ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის შარშანდელ კრებაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები საწარმოს ხელმძღვანელობის, პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობაშიც, და ზოგიერთი საკავშირო და რესპუბლიკური ორგანიზაციის მუშაობაშიც. ყველაზე არასასიამოვნო კი ის იყო, რომ ქარხანამ დაკარგა თავისი შემდგომი განვითარების მკაფიო პერსპექტივა. და სწორედ ეს იყო ყოვლად შეუწყნარებელი რამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საწარმოსათვის დახმარების გაწევის სპეციალური პროგრამა შემუშავდა.

აქტივის ახლანდელი კრების მთავარი მიზანი ის არის, რომ კიდევ ერთხელ გააანალიზოს, როგორ სრულდება ეს პროგრამა, დასახოს დარგში და რესპუბლიკაში მოწინავე პოზიციებზე ქარხნის საბოლოოდ გაყვანის ღონისძიებები.

ჩვენს ახლანდელ შეხვედრას, თქვეს ორატორებმა, კიდევ ერთი ასპექტი აქვს. რთულ და პასუხსაგებ პერიოდში, როცა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია აჩაღებდა ბრძოლას რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ყოველმხრივი გაჯანსაღებისათვის, სწორედ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა წამოაყენა პირველმა ცნობილი ინიციატივა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!". მას ფართოდ აუბეს მხარი სხვა საწარმოებმა და წილად ხვდა დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებაში. და დღეს, როცა მთელ ქვეყანაში ახალ ძალას იკრებს ბრძოლა სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგისათვის, სასიხარულოა იმაში დარწმუნება, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით კვლავაც შეუპოვრად და პრინციპულად ეწეოდეს ამ მუშაობას, მაქსიმალურად აქტიურებდეს მას, ამკვიდრებდეს მაღალ იდეალებს.

ქარხნის აქტივის შარშანდელი კრება გარდატეხის მომენტი გახდა საწარმოს საქმიანობაში. მაშინ გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ დაქვეითება მეტალურგების მუშაობაში დროებითი მოვლენაა და რომ ისინი უსათუოდ დაიბრუნებენ დაკარგულ პოზიციას. მთელი რესპუბლიკა მიეშველა მაშინ ქარხნის კოლექტივს. დამტკიცდა ბევრ სამინისტროსთან, უწყებასთან, საწარმო-ორგანიზაციასთან ერთად განსახორციელებელი ორმხრივი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. დიდი სამუშაო შეასრულა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ. მისი ხელმძღვანელობის ძალისხმევით ოპერატიულად გადაიჭრა შეუკვეთავი პროდუქციის რეალიზაციასთან, მეორე ხარისხის მილების მიწოდებათა ნორმების გადიდებასთან დაკავშირებული პრობლემები. დამატებით გამოიყო ნედლეული, მასალები, მანქანა-მოწყობილობა, გაიზარდა ძირითადი სამქროებისა და აგრეგატების, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მოწყობილობის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების მოცულობა, მოწესრიგდა შრომისა და ხელფასის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით საწარმოს დაკომპლექტების საკითხები, გაუმჯობესდა ქარხნის ფინანსური მდგომარეობა.

ორმხრივ ღონისძიებათა რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის, საწარმოო გაერთიანებების — „ჩარხმშენებლის" და „საქმეორეულშავილითონის", ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივებს. საწარმოს დაეხმარნენ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა საქართველოს სახმომარაგებამ.

სწორედ ასეთი მხარდაჭერის წყალობით გახდა შესაძლებელი, აღნიშნეს ორატორებმა, ახლანდელი გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაისახა შესამჩნევი დადებითი ძვრები მეტალურგთა მთელ საწარმოო საქმიანობაში. მაგალითად, შარშან კოლექტივმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა და გაანაღდა ოთხ მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ წინა წელთან შედარებით უზრუნველყოფილია თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოების მატება. მნიშვნელოვნად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. უფრო საიმედოდ მუშაობენ ძირითადი მეტალურგიული აგრეგატები, საგლინავი და მილის დგანები. წარმატებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირების დავალება.

წარმატებით დაიწყო მიმდინარე წელიც, აღნიშნეს ორატორებმა. გადაჭარბებით შესრულდა წლის პირველი ნახევრის გეგმა, ლითონპროდუქციის მიწოდებამ დარგის მოწინავე საწარმოთა დონეს მიაღწია. ძლიერდება მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ისმება კითხვა — არის თუ არა იმის გარანტია, რომ მეტალურგიული ქარხნის საქმიანობა საბოლოოდ სტაბილური გახდა, რომ ჩავარდნები ახლა გამორიცხულია? აქტივის კრების მონაწილეებმა თქვეს, რომ ამის რწმენა ჯერჯერობით არ არის და მიღწეულით დაკმაყოფილება ნაადრევია. ქარხანას წინათაც ჰქონია შთამბეჭდავი წარმატებები, მაგრამ მათ მოჰყვებოდა ხოლმე სერიოზული ჩავარდნები მუშაობაში. ახლა ასეთი რამ უნდა გამოირიცხოს.

რა არის საამისოდ საჭირო?

უწინარეს ყოვლისა, აღნიშნეს ორატორებმა, საჭიროა იმის ბოლომდე მიყვანა, რაც უკვე დაწყებულია. რეკონსტრუქცია და გაფართოება ქარხნის საწარმოო პროგრამის დინამიკური ზრდის

(დასასრული მე-2 გვ.).

საქმიან პასუხს გავცემთ

მესაუბრებათ მინისტრი

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში შემუშავდა ძვირფასი სასურსათო ნედლეულის მთლიანი გამოყენების პროგრამა. მისი რეალიზაცია დარგის მუშაკებს უკვე უახლოეს ხანში საშუალებას მისცემს უფრო სრულად დააკმაყოფილონ მაღალხარისხოვან კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნა.

— ამ ხუთწლედშიც არის ძვრები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ა. კოკაიას რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ა. მოსესიანმა. — ჩვენი საწარმოების ნედლეულით მომარაგებაში მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, გამოშვებულია რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: დამთავრდა ბევრი საწარმოს რეკონსტრუქცია, რომელთა უმეტესობა აღიჭურვა ახალი ტექნიკით. ნიშანდობლივია, რომ ნაწარმის მთელი მატება, ძირითადად, მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ამის მიუხედავად, თვითდამშვიდების უფლება არ გვაქვს. კარგად ვიცით, რომ მოსახლეობა გარკვეულ სიძნელეებს განიცდის ხორცისა და რძის პროდუქტების შეძენაში. ამავე დროს, როგორც ცნობილია, დარგი დამოკიდებულია ნედლეულის მიწოდებაზე. მის საწარმოებში მოდის ის, რაც მეცხოველეებმა აწარმოეს. მაგრამ ეს როდი გვათავისუფლებს მთავარი ამოცანისაგან — ისე გადავამუშავოთ ნედლეული, რომ მისგან მაქსიმალურად მივიღოთ მაღალხარისხოვანი პროდუქტი. სწორედ ამას ითვალისწინებს მთელი ჩვენი მეცადინეობა.

რესურსების მაქსიმალური გამოყენებისათვის იხვეწება ტექნოლოგიური პროცესების მთელი ციკლი: ნედლეულის მიღებით დაწყებული და მზა პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული.

განზრახული გვაქვს ასევე გავზარდოთ საწარმოო სიმძლავრეები: ხორცის გადამუშავებისა — დღე-ღამეში 50 ტონით, რძისა — 180 ტონით, ყველისა — 10 ტონით. ერთდროული შენახვისათვის მაცივრების მოცულობა გაიზრდება 5.500 ტონით. შენდება ახალი ხორცკომბინატი ზუგდიდში, ყველ-კარაქის ქარხანა — ახალციხეში და რძის ქარხანა — გორში. უკვე იწყება ისეთი დიდი მოთხოვნის ნაწარმის გამოშვება, როგორიც არის წვნიანის შენარჩევი, ხაში, ხინკალი. მრავალფეროვანი იქნება ხაყინის ასორტიმენტიც.

დარგის მშრომელებმა მიზნად დაისახეს მთლიანად გამოიყენონ ყოველი გრამი ნედლეული, წარმოება უნარჩენოდ აქციონ. ცილოვანი და მცენარეული დანამატების გამოყენება, რომლებიც ზრდიან სურსათის შუათიანობას, სუბპროდუქტებისა და ძვლის ცხიმის გამოყენება საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ უფრო მაღალხარისხოვანი ნაწარმი. არსებითი მნიშვნელობას იძენს რძის შაქრის გამოშვების გადიდება, აგრეთვე რძის შრატის გადაცემა პურის საცხობი მრეწველობისათვის. ამ საქმეში კარგ მაგალითს გვიჩვენებენ „თბილისრძის" გაერთიანების, დმანისის ყველის კომბინატის, ახალქალაქის მეთაური ყველ-კარაქის ქარხნის, დარგის ზოგიერთი სხვა საწარმოს კოლექტივები.

უახლოეს ხანს ხორცისა და რძის მრეწველობის მშრომელებს კითხვაზე, „რით დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნა?" — შეეძლებათ საქმიანი პასუხი გასცენ.

განვამტკიცოთ მოპოვებული, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს

(დასასრული)

ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ გვაღელვებდეს მშენებარე ობიექტებზე შექმნილი ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი წლის შედეგების მიხედვით მშენებლებმა, როგორც იტყვიან, „ამოქაჩეს" სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, ნაკლი მაინც ძალზე ბევრია.

შემკვეთმა და № 1 ტრესტმა უკეთ უნდა მოილაპარაკონ მშენებარე ობიექტების ჩაბარების ვადებზე, რათა ამან არ წარმოქმნას ვიწრო ადგილები ტექნოლოგიაში. არსებითად უნდა ამაღლდეს ობიექტების საინჟინრო მომზადების დონე. ხშირად მათ სამუშაოთა წარმოების გეგმის გარეშე აშენებენ, შეუწონასწორებელია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, მექანიზმებით და მუშახელით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ხარისხს. მაგალითად, გასული წლის დამლევს ვაგონგადამყირავებლის ამოქმედების შემდეგ დარჩენილი ხარვეზები მხოლოდ აპრილის დამლევს აღმოიფხვრა, არადა, ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანი ობიექტია, და ყოველ გადახრას მის მუშაობაში შეიძლება საწარმოო რიტმის სერიოზული დარღვევები მოჰყვეს, ეს გადახრები ვაგონების დიდი მოცდენის ფასად ჯდება.

ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია, ითქვა აქტივის კრებაზე, მოწყობილობის დროული მიწოდება და მონტაჟი. მაგალითად, თბოელექტროცენტრალის ტურბოკომპრესორი საწყობში 1978 წლიდან იდო, მშენებლები კი მისი მონტაჟისათვის მზად მხოლოდ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში იყვნენ. ასეთი მდგომარეობის დროს მოწყობილობის ნაწილს შლიან საექსპლოატაციო საჭიროებებისათვის, და იგი ფუჭდება.

ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, თქვენ ორატორებმა, საჭიროა მოწესრიგდეს დაგეგმვა, არ უნდა ვურიგდებოდეთ იმას, რომ დაუმთავრებელ სამუშაოთა მოცულობა არათუ არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც — მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მან 20 მილიონ მანეთს მიაღწია. და ეს იმ დროს, როცა მეტალურგიული ქარხნის ობიექტების მშენებლობას უდიდესი ყურადღება ეთმობა, მათი ამოქმედების დიდი მნიშვნელობა არავის აეჭვებს.

არ არსებობს სტაბილური ხუთწლიანი გეგმა, იცვლება კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები. არ გამოიყოფა სახსრები საგეგმო ობიექტების ასაგებად და ა. შ. ამის შედეგად შემკვეთი ყოველთვის ვერ ახერხებს საპროექტო ორგანიზაციების დროულად უზრუნველყოფას დაპროექტების დავალებებით. შემდეგ კი გრძელდება ჯაჭვისებურად: საპროექტო დოკუმენტაციას ნაჩქარევად იძლევიან, ხარისხი დაბალია. განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ქარხანას დღესაც არა აქვს არც 1986 წლის, არც მეთორმეტე ხუთწლედის ზუსტი გეგმა?

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ, საქმთავარმშენტაჟსპეცმშენმა, თავად ქარხნის დირექციამ, სამშენებლო ობიექტებზე დასაქმებული ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა უნდა დასახონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ყველა ასამოქმედებელი ობიექტის დროული ამოქმედება და ამ მიზნებით გამოყოფილი სახსრების სრული ათვისება. აგრეთვე მაქსიმალურად უნდა შემცირდეს წინათ დაშვებული ჩამორჩენა.

ზოგიერთ სხვა ორგანიზაციასაც აქვს გარკვეული დავალიანება ორმხრივ ღონისძიებათა შესრულებაში. მაგალითად, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა", რომელმაც ხელი მოჰკიდა მილების პლაზმური ჭრის ავტომატური ხაზის კონსტრუქციული ხარვეზების აღმოფხვრას, მთლიანად ვერ შეასრულა დავალება.

დაგვიანებით იგზავნება ვაგონები ფლუსური მასალების შესატანად. იყო შემთხვევები, როცა ქარხნის ბრძმედის წარმოება გაჩერების ზღვრამდე მისულა. აქტივის კრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა გამონახავს წითელწყაროს საბადოდან კირქვის რიტმული მიწოდების შესაძლებლობებს, აგრეთვე დაეხმარება მეტალურგებს თბომავლების, წყვილთვლებისა და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის შეკეთებაში.

იმისათვის, რომ საიმედოდ სტაბილური გახდეს ქარხნის საქმიანობა, უფრო მომთხოვნელად და პრინციპულად უნდა მოვეკიდოთ წარმოების ორგანიზაციის დონის შეფასებას. რა თქმა უნდა, გარკვეული წარმატებები მიღწეულია. მაგრამ თუ მათ შევადარებთ წარსულის, 70-იანი წლების დამლევის საუკეთესო მაჩვენებლებს, მეტალურგების ბევრი მიღწევა არცთუ მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. შესამჩნევად ჩამორჩება კოქსისა და კოქსის პროდუქტების, ფოლადის, ნაგლინისა და მილნაგლინის წარმოება. და ეს იმ პირობებში, როცა ყველა ძირითად საამქროში, კოქსქიმიურის გარდა, მოხდა ტექნიკური განახლება. მაშასადამე, საქმეს ხელს უშლის შრომისა და საწარმოო დისციპლინის, მუშათა კვალიფიკაციის არასაკმარისი დონე.

არსებითი სირთულეებია წარმოების ზრდის ტემპის მაჩვენებლის ჩამოყალიბებაში. ფოლადისა და მზა ნაგლინის გამოშვების გეგმის გადიდებამ ზოდების მიწოდების იმავდროულ შემცირებასთან ერთად გამოიწვია თუჯისა და კოქსის შიდასაწარმოო მოხმარების ზრდა, ამასთან არ არის შესაძლებლობა სრულად გამოვიყენოთ ისინი როგორც სასაქონლო პროდუქცია. ამის მიუხედავად, უნდა გამოვნახოთ რეზერვები. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ 1990 წელს, 1985 წელთან შედარებით, მთლიანი პროდუქციის მატება მხოლოდ 2,2 პროცენტის დონეზეა დაგეგმილი. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა. ასეთი ტემპი მინიმალურად უნდა მივიჩნიოთ. წლიური გეგმების დამტკიცებისას ქარხნის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ სამინისტროსთან ერთად უნდა გამონახონ არსებულ შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების გათვალისწინებით მათი გადიდების საშუალებანი.

ერთ-ერთი რეზერვია, მაგალითად, ლითონის ახალი პროფილების წარმოების გაფართოება. არის სხვა გზებიც, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ყოველმხრივი გადიდება და ასორტიმენტის გაფართოება, განსაკუთრებით ნარჩენებისაგან.

წარმოების ორგანიზაციის დონის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ორატორებმა დაასახელეს მიწოდების გეგმის შესრულება. აქ მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. თუ რესპუბლიკაში შეკვეთები სრულდება 98–99 პროცენტის დონეზე, მეტალურგები დიდი-დიდი 90-91 პროცენტით ასრულებენ. 1984 წელს ქარხანამ მარტო მიწოდების გეგმის შეუსრულებლობისათვის 11 მილიონი მანეთი ჯარიმა გადაიხადა! ეს მოწმობს პროდუქციის არადამაკმაყოფილებელ ხარისხს, არასაკმარის ტექნოლოგიურ და საფონდო დისციპლინას, კადრების დაბალ კვალიფიკაციას.

ბევრი რამ კეთდება საწარმოში ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების უფრო მომჭირნედ ხარჯვისათვის. გამოცოცხლდა ეკონომიკური სამსახურების მუშაობა. გაიზარდა პარტიული კომიტეტისა და საამქროების პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. დანაკარგები ჯერ კიდევ დიდია. მილსაგლინავ საამქროში, მაგალითად, მილების ნამზადის გადამეტხარჯვამ შარშან ოთხი ათასი ტონა შეადგინა, დანაკარგებმა 670 ათას მანეთს მიაღწია.

ამ და მრავალი სხვა პრობლემის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი გზაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარება. უამისოდ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე, ფონს ვერ გავალთ. ერთ დროს ქარხანა გააკრიტიკეს სწორედ წიგნიერი ტექნიკური პოლიტიკის უქონლობის გამო. ახლა, კმაყოფილებით აღნიშნეს ორატორებმა, ბევრი რამ შეიცვალა.

უწინარეს ყოვლისა გადაწყდა ყველაზე პრინციპული საკითხი: ქარხანაში მეთორმეტე ხუთწლედში აშენდება ელექტროფოლადსადნობი საამქრო. ეს ქვეგანაყოფი ყველაზე თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება. ქარხანამ კვლავ შეიძინა გრძელვადიანი პერსპექტივა. ამასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნები კადრების პროფესიული მომზადებისადმი. საჭიროა გახდეს უმაღლეს, საშუალო ტექნიკურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ქარხნის ტექნიკური სწავლების ქსელში მათი მომზადების სისტემის ძირეული გაუმჯობესება. გაიზრდება ქარხნის მეცნიერების, უწინარეს ყოვლისა — ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიის, ტექნიკური განყოფილების, სხვა უბნების როლი.

რუსთავის ქარხანაში ფოლადის წარმოების ელექტრომეტალურგიული მეთოდის დანერგვა მუდამ თვალთახედვის არეში უნდა იქონიონ დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა. ეს მასშტაბური საქმეა და ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ჯეროვანი გაქანებით, კომპლექსურად და ოპერატიულად. საქმე ხომ, არსებითად, პრინციპულად ახალი, თანამედროვე წარმოების შექმნას ეხება.

აქტივის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ რუსთაველი მეტალურგები პირნათლად შეასრულებენ ამ საპატიო ამოცანას. გამოცდილება არ აკლიათ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სწორედ რუსთავში დაინერგა ქვეყანაში პირველად ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგია, რომელმაც მრავალ კონტინენტზე მოიპოვა აღიარება, რომ სწორედ აქ მიენიჭა მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფს ლენინური პრემია „400" მილსაგლინავი აგრეგატის ავტომატიზაციისათვის.

რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი მეტალურგიის დარგში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მიერ დამტკიცებული პროგრამის რეალიზაციის მეოხებით ქარხანაში დაიხვეწა და დაჩქარდა ფოლადის გამოდნობის პროცესი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მიღწეულია სათბობის ეკონომია მთელ რიგ უბნებზე, გაუმჯობესდა შრომის პირობები.

საინტერესო მუშაობა გაწეულ ბოლო ხანს მარტენის ღუმელების რეკონსტრუქციისათვის, ახალ აგლომფაბრიკაში, „900" დგანზე. შემთხვევით როდი დაავალა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს გამოუშვას გაზლიფტის სისტემის მილები, რომლებსაც დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ. ასეთი ნდობა ბევრს გვავალებს.

საწარმოში კვლევისა და დანერგვის საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ, ითქვა აქტივის კრებაზე. ამავე დროს უნდა აღმოვფხვრათ არსებითი ნაკლოვანებანი ამ საქმეში. ვერ შევურიგდებით იმას, რომ ჭიანურდება დიდმნიშვნელოვანი ნამუშევრების დანერგვა, ზოგჯერ კი ხდება მისი ვადების გადატანა. ძალზე საჭიროა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიზნად ისახავდეს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კი ბევრი მათგანი მრავალი წელია არ იცვლება, უფრო მეტიც, შემცირდა ფონდუკუგება, გაიზარდა დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე.

თუ მეტალურგების კოლექტივი ნამდვილად ითვალისწინებს პერსპექტივას, მიზნად ისახავს ახლისა და მოწინავის დანერგვას, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია მოთხოვნა როგორც მეცნიერებისადმი — წავიდნენ წარმოებაში, ისე წარმოების მუშაკებისადმი — ეზიარონ მეცნიერებას, უფრო ღრმად დაინტერესდნენ მისი მიღწევებით, დაეხმარონ მეცნიერებს.

კრებაზე აღინიშნა, რომ ინჟინერთა კადრების მომზადებას დიდად შეუწყობს ხელს რუსთავში ქიმიურ-მეტალურგიული ინსტიტუტის გახსნა.

იმისათვის, რომ სტაბილური გავხადოთ საწარმოს მუშაობა, მომავალში გამოვრიცხოთ მოულოდნელი ჩავარდნები, რაც შეიძლება დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ სოციალური საკითხების გადაწყვეტას, სოციალური სფეროს განვითარებას, აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა. უკეთ რომ ვიცხოვროთ, როგორც ცნობილია, უკეთ უნდა ვიმუშაოთ. და ამასთან, რაც უფრო უკეთესია ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, მით უფრო მაღალია მათი შრომითი განწყობილება, შრომითი უკუგება.

ამის მართლზომიერებას ადასტურებს აგრეთვე ქარხანაში მოწყობილი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რაც შრომითი კოლექტივის კონცენტრირებული აზრია. და გასაკვირი არ არის, რომ მუშები კმაყოფილებით შეხვდნენ ქარხნის ხელმძღვანელობის მისამართით გამოთქმულ სერიოზულ კრიტიკას სოციალურ სფეროში ჩამორჩენის გამო. მით უმეტეს, რომ მან დადებითი გავლენა მოახდინა.

ეკონომიკაში მომხდარმა ძვრებმა გააუმჯობესა აგრეთვე ქარხნის მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფა. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო თვიურმა ხელფასმა შვიდი პროცენტით მოიმატა, გაიზარდა დახმარება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან.

დიდი მუშაობაა გაწეული მეტალურგებისათვის სათანადო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. მარტო შარშან მათ მისცეს დასასვენებელი სახლების, სანატორიუმებისა და ტურისტული მოგზაურობის დაახლოებით 950 საგზური, საქარხნო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის 1.400-ზე მეტი შეღავათიანი საგზური, მეტალურგთა ასობით ბავშვმა დაისვენა საბავშვო სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში. გაუმჯობესდა სამასზე მეტი ოჯახის საბინაო პირობები.

ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა სავაჭრო ცენტრი. 90 ათას მანეთზე მეტი მოხმარდა შარშან მუშათა სადილების გაიაფებასა და უფასო კვებას. დამხმარე მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი მეცხოველეობის კომპლექსი.

ბევრი ძალ-ღონე მოხმარდა შრომითი კოლექტივის სტაბილიზაციას. განხორციელებული ღონისძიებანი კადრების საიმედო დამკვიდრების კარგ საფუძველს ქმნიან. ამ ბოლო დროს მეტალურგიულ ქარხანაში გაიგზავნა ბევრი მშრომელი აღმოსავლეთ რაიონებიდან, აგრეთვე ახალგაზრდობა კომკავშირული საგზურებით, დემობილიზებული მეომრები. შეიცვალა ქალაქის № 86 პროფტექნიკური სასწავლებლის პროფილი, გაიზრდება მისი კონტინგენტი და რუსთავის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეთა რიცხვი, გადაწყდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის სასწავლო კორპუსის მშენებლობის საკითხი, განხორციელდა მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტის სასწავლო ბაზის გაფართოებისათვის.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, აღნიშნეს ორატორებმა, საწარმოში მცირდება ახალი შევსების უმნიშვნელო ნაწილი. საშუალოდ — მესამედზე ნაკლები. ამ თვალსაზრისით ქარხნისა და მისი ძირეული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელობა ყველაზე სერიოზულ საყვედურს იმსახურებს. დამაჯერებელი არ არის თავის მართლება, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც არასოდეს უმუშავიათ ასეთ დიდ საწარმოში და ვერ წარმოუდგენიათ აქ მუშაობის მთელი სირთულე. საქმე ხომ მარტო ეს არ არის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეკიდებიან ახალბედებს. რა მაგალითი დაინახეს მათ კოლექტივში, სადაც კადრების დენადობის მაჩვენებელი ძალიან დიდია — აღწევს 16,7 პროცენტს, რაც მთელი ხუთი პუნქტით მეტია, ვიდრე 1982 წელს იყო. უფრო მეტიც, შესამჩნევად დაქვეითდა შრომის დისციპლინის დონე. გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა რიცხვი.

აი რატომ არის, აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა, რომ კადრებთან მუშაობა მუდამ უნდა იყოს პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ახლა ყველაზე შესაფერი მომენტია გავიხსენოთ მეტალურგთა საკუთარი პატრიოტული ინიციატივა, რომლის მიზანი იყო დისციპლინის განმტკიცება, მისი განვითარება, უფრო ფართოდ დანერგვა. საჭიროა გამჭვირვალე თვალი ყველაფერში, საჭიროა მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლი ყველა სფეროსადმი, და უწინარეს ყოვლისა, იმათდამი, ვინც განსაკუთრებით განიცდის ნეგატიური მოვლენების გავლენას. მხოლოდ ასე შეგვიძლია მივაღწიოთ ნამდვილ მომთხოვნელ, პრინციპულ ატმოსფეროს. და კადრის მუშები, საწარმოს ვეტერანები ვალდებული არიან სამაგალითონი იყვნენ.

საწარმოს კოლექტივში აღიზარდნენ ხელმძღვანელები, რომლებითაც მთელი რესპუბლიკა ამაყობს. ახალგაზრდა, პერსპექტიული ხელმძღვანელი კადრების დაწინაურებისათვის აქტიური მუშაობა დღესაც მიმდინარეობს. ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს ახალი დირექტორი გ. ბ. ჭამაკაშვილი. მას უნარი შესწევს კარგი ურთიერთობა დაამყაროს ადამიანებთან, შთააგონოს მათ საკუთარი ძალის რწმენა, დარაზმოს კოლექტივი. დიდი კომუნიკაბელობა, პირადი თავმდაბლობა ხელს არ უშლის მას იყოს მტკიცე და პრინციპული, თუ ილახება კოლექტივის, საქმის ინტერესები, სახელმწიფო ინტერესები. ამხანაგი ჭამაკაშვილი მუდამ ფიქრობს პერსპექტივაზე, მუდამ აქვს მიზნად დასახული ბევრი სოციალური საკითხის გადაწყვეტა.

მაგრამ ნიშნავს კი ყოველივე ეს, რომ დირექტორი, კომუნისტი აღარ არის თავისი კოლექტივის, თავისი პირველადი პარტორგანიზაციის მიმართ ანგარიშვალდებული? არა, არ ნიშნავს. არც ერთი მუშაკი არ უნდა დარჩეს კონტროლის გარეშე, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა. და ეს საერთოპარტიული მოთხოვნაა. მიგვაჩნია, აღნიშნეს ორატორებმა, რომ ქარხანაში არსებული მიზეზები გარკვეულწილად გამოწვეულია ხარვეზებით მისი ხელმძღვანელის საქმიანობაში. პირველ რიგში მან უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა საამქროების, სამსახურების უფროსების, დირექტორის მოადგილეების მიმართ, გააქტიუროს მათი ნოვატორული საქმიანობა. დროა არსებითი კორექტივები შევიტანოთ კოლექტივის ფორმირებაში ახალი შევსების გზით. მეტად დიდი და სერიოზული საკითხია კადრების სწავლება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება. სწორედ იმიტომ, რომ ეს მუშაობა საკმარისად არ ხორციელდება რესპუბლიკაში, ხშირად ცდება საწარმოო სიმძლავრეები, დროულად ვერ ითვისებენ მათ.

კადრების დამკვიდრების, საწარმოში მთელი მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი სტიმული უნდა იყოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის განვითარება. ამასთან ლაპარაკია არა საქმის ფორმალურ მხარეზე, არამედ ამ მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ბრიგადებში ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის, მათი თვითმმართველობის განვითარებაზე.

კადრებისათვის ზრუნვა, აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა, პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ორგანოების უმნიშვნელოვანესი საქმეა. მეტალურგიულ ქარხანას დიდ დახმარებას უწევენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო აღმასკომი. სერიოზული ყურადღება ეთმობა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ განმტკიცებასა და მებრძოლურობის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობაზე მისი გავლენის გაძლიერებას. საქალაქო კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებებმა იდეოლოგიური აქტივის დასახმარებლად შეიმუშავეს ანალიზური მასალები, მთელ რიგ საამქროებში შექმნილია პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტები, საწარმოს მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა ერთიანი პოლიტდღეების მოწყობა, დიდი ყურადღება ეთმობა უმნიშვნელოვანესი სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას.

ამავე დროს, პარტიის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა დახმარება პარტიული კომიტეტის, საამქრო პარტორგანიზაციებისადმი ჯერ კიდევ ხშირად ამოიწურება ბუნდოვანი მითითებებითა და სურვილებით. ნელა ივსება პარტიული კომიტეტის აპარატის მუშაობის რეგლამენტი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტალურგიული ქარხანა, მისი პარტორგანიზაცია მთელი რუსთავის სახე, გარკვეულწილად კი მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახეც არის. თუმცაღა ამ სახეს ქალაქის ბევრი სხვა საწარმოც განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით საინტერესო აღვნიშნოთ, თქვეს ორატორებმა, რომ მთლიანად რუსთავში ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების უმრავლესობა წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით გადაჭარბებით არის შესრულებული.

მაგრამ მიღწეული ტემპი ვერ უზრუნველყოფს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საწარმოო პროგრამის შესრულებას. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ჩამორჩებიან ყველაზე დიდი საწარმოები, უწინარეს ყოვლისა საწარმოო გაერთიანებანი „აზოტი" და „ქიმბოჭკო" და სხვ. სახალხო მეურნეობას დიდი მოცულობით დააკლდა მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკო, კორდული ქსოვილი, ცემენტი, სხვა პროდუქცია.

იმავე საწარმოო გაერთიანებებში — „აზოტსა" და „ქიმბოჭკოში", ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში კვლავ დაბალია მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობა, შრომის საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინა. მაგალითად, იმის შედეგად, რომ სიძნელეები შეიქმნა გაერთიანება „აზოტში" კაპროლაქტამის ახალი საწარმოს საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, შეფერხებები იყო ამავე საწარმოს, აგრეთვე გაერთიანება „ქიმბოჭკოს" ენერგომომარაგებაში, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმის შესრულების, წინასწარი გაანგარიშებით, დააკლდება შესაბამისად 3,7 და 1,5 მილიონი მანეთი. ქალაქის სხვა საწარმოთა ძალებით შესაძლებელი იქნება ამ თანხის ანაზღაურება მხოლოდ 800 ათასამდე მანეთის ოდენობით. წარმოების ზრდის ტემპი ქალაქში შეადგენს 103,9 პროცენტს, რაც 6,3 პუნქტით ნაკლებია წლისათვის დაგეგმილ მატებასთან შედარებით.

ეს საქალაქო ორგანოების ბრალეულობაა, ითქვა აქტივის კრებაზე. ისინი ყოველთვის საგრძნობლად და ღრმად როდი სწავლობენ ცალკეულ წარმოებათა საწარმოო და ეკონომიკურ საკითხებს, ზოგჯერ არ იჩენენ საკმარის მომთხოვნელობას, სწრაფ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის უსაფუძვლო დაპირებებს, ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა. არ უნდა ველოდოთ მითითებებს ზემოდან.

ამავე დროს, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ... სიახლეს სწორედ ზემდგომი ორგანოები ახორციელებენ. ეს ეხება, კერძოდ, რუსთაველ მეტალურგთა საქმიანობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრაქტიკას, რომელმაც უკვე საგრძნობი ეფექტი მოგვცა. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის სოციოლოგიური გამოკვლევებიც. მაგალითად, თუ 1983 წელს მოსწავლეთა და სტუდენტთა მხოლოდ ნახევარი აღნიშნავდა მეტალურგის პროფესიის მაღალ პრესტიჟულობას; 1984 წლის დამლევს უკვე თითქმის ორი მესამედი აღიარებდა ამას. მაგრამ ქალაქის სხვა საწარმოებში ამ გამოცდილების გავრცელებისათვის არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა.

კონკრეტულად რა გაკეთდა მეტალურგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისათვის: მთელი წლის მანძილზე საწარმოს კოლექტივის საქმიანობა იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრში, გამოიცა ორი წიგნი ქარხნის ისტორიისა და მეტალურგთა ცხოვრების შესახებ. დაგეგმილია ჩვენი მწერლებისა და ჟურნალისტების მოთხრობების, ნარკვევებისა და რამდენიმე მხატვრულ-პუბლიცისტური და სამეცნიერო-პოპულარული კრებულის და მონოგრაფიების გამოშვება. რამდენიმე თვის წინათ ქარხანაში შემოქმედებითი მივლინებით იყო მწერალი გურამ ფანჯიკიძე, რომელიც მალე დაამთავრებს წიგნს რუსთაველებზე. გადაღებულია დოკუმენტური ფილმი მეფოლადეებზე. დაიწყო მუშაობა მხატვრულ კინოფილმზეც. აქტიურად მოქმედებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი. სისტემატურად იწყობა შეხვედრები ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცნობილ მოღვაწეებთან. მოეწყო საინტერესო თემატური საღამოები მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის, პოეტ რეზო ამაშუკელის მონაწილეობით. შინაარსიანი იყო მეტალურგთა შეხვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერებთან. სერიოზული ყურადღება ეთმობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას.

უყურადღებოდ არ დარჩენილა იდეოლოგიური ზემოქმედების ისეთი ტრადიციული საშუალებანიც, როგორიც არის თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა. შექმნილია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაარსების, აღორძინებისა და განვითარების ისტორიის მუზეუმი.

ერთი სიტყვით, აღნიშნეს ორატორებმა, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ქარხნის როგორც საწარმოო, ისე სულიერ ცხოვრებაში. ახლა მთელ რესპუბლიკას უფლება აქვს მოელოდეს ასეთსავე დიდ უკუგებას, კონკრეტულ ეფექტს.

მეტალურგთა საქმიანობის ახალშელი დადებითი შედეგები მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, პირველი მიდგომაა იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც დგას ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, მომავალ ხუთწლეულში, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ინიციატივისა და აქტიურობის ამაღლებით

მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმის მსმენელების მიერ მეცადინეობაზე შეძენილი ცოდნა მათ ეხმარება მუშაობაში, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში. ეს არის ქალაქის იერის შეცვლაც, და სამელი წლით მოსახლეობის უზრუნველყოფაც, გამწვანების, რემონტისა და გზების მშენებლობის, სამსახურების შექმნაც, საბინაო მშენებლობის გაშლა და მრავალი სხვა. მაგალითად, მარტო ბოლო წლინახევრის მანძილზე ქალაქში აშენდა ერთიორაჯ მეტი საცხოვრებელი სახლი, ვიდრე წინა 5 წლიწადში.

მარნეულის საქალაქო, აგრეთვე გორისა და ხობის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობის შედეგიანობის, პრაქტიკული უკუგების შესახებ მიმდინარეობდა სჯა-ბაასი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან ამჟამად მოქმედ ამ სემინარ-ლექტორიუმებში გასული სასწავლო წლის შედეგები.

აღინიშნა, რომ საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლის გარდაქმნამ საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმებად მნიშვნელოვანწილად აამაღლა სწავლების თეორიული დონე, ხარისხი და ეფექტიანობა. უფრო მრავალმხრივი გახდა დეპუტატების საქმიანობა საარჩევნო ოლქებსა და შრომით კოლექტივებში. გაუმჯობესდა საბჭოების ეკონომიკური მუშაობა, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობა.

ამასთან, როგორც ახლახან დამთავრებული შემაჯამებელი მეცადინეობის ანალიზმა ცხადყო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. საბჭოთა მშენებლობის თეორიული პრობლემების შესწავლა ყოველთვის როდი უკავშირდება პრაქტიკას, გასაუმჯობესებელია დადებითი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

აღნიშნა რა ესა და სხვა ნაკლოვანებანი, პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრა საბჭოთა კადრებისა და აქტივის სწავლების ხარისხის ამაღლების, სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობის შედეგიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. დამტკიცდა მათი მუშაობის 1985-1986 სასწავლო წლის სანიმუშო თემატური გეგმა.

სხდომაზე განიხილეს სახალხო დეპუტატთა საქმიანობის სრულყოფის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ერთსულოვნად მოიწონეს ამას წინათ აბაშაში ყველა საფეხურის დეპუტატთა რაიონული შეკრების გამოცდილება, რომელზეც გაიმართა ნამდვილად საქმიანი, მომთხოვნი სჯა-ბაასი დეპუტატთა ინიციატივის ამაღლების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მათი მონაწილეობის გააქტიურების გზების შესახებ. მიზანშეწონილად ცნეს პრაქტიკულად ყოველი ახალი მოწვევის დროს მოაწყონ ხალხის რჩეულთა რაიონული და საქალაქო შეკრებები, რაც ხელს შეუწყობს დეპუტატთა საქმიანობის ეფექტიანობის, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და სხვა ფორმირებათა მუშაობის დონის ამაღლებას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში მათი წვლილის გადიდებას.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადება და გამოცემა და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადების 1983-1985 წლების გეგმის შესრულება, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ინტეგრაციის კურსით

მანგანუმის ნაირსახეობათა სელექციური მოპოვების ეფექტიანი ტექნოლოგია შეიმუშავეს და დანერგეს პარტნიორობის საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტისა და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" კოლექტივებმა. ამავე ინსტიტუტმა შეიმუშავა მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატისათვის გადასახსნელ სამუშაოთა ახალი ტექნოლოგიური სქემები, ხოლო კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამართველოსათვის — ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მადნის გამდიდრების ნარჩენებისაგან კალციტის მიღებას. მაღალ ეკონომიკურ ეფექტს უზრუნველყოფენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების კათედრებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრებიც, რომლებიც დაინერგა რესპუბლიკის სამთო ინდუსტრიის საწარმოებში.

ამაზე იყო სჯა-ბაასი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის სხდომაზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ" კანონი სამთო მრეწველობაში მეცნიერული გამოკვლევების შედეგების დანერგვის უზრუნველყოფის მხრივ.

გააანალიზეს რა მიმდინარე მუშაობა ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული ივნისის თათბირის მოთხოვნათა მიხედვით, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საკმარისი ტემპით არ ინერგება ამ დარგში, კერძოდ, სრულყოფას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების ტექნოლოგია, მისი მოპოვების კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა, დინამიკური მოვლენების პროგნოზირება. მაგალითად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციას ვერ უზრუნველყოფს გაერთიანება „საქქვანახშირი". მიმდინარე ხუთწლედისათვის აქ დაგეგმილი 29 ღონისძიებიდან შესრულდა მხოლოდ 21, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გაერთიანების საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხზე. საკმარისია ითქვას, რომ ქანების ამოღება რესპუბლიკის ქვანახშირის საბადოებში დღემდე ძირითადად ხორციელდება ბურღვა-აფეთქების წესით, რომელსაც ახასიათებს წიაღისეულის საკმაოდ დიდი დანაკარგები და გალარიბება, ამასთან, მნიშვნელოვნად ართულებს თავისი სამთო-გეოლოგიური პირობებით ისედაც რთული საბადოების ექსპლოატაციას.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მადნის გამდიდრების ტექნოლოგიაც მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში. სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია კვაისის ტყვია-თუთიის საბადოში, სამშენებლო ინდუსტრიისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მეთოდები და ა. შ.

რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს კომისიამ მისცა რეკომენდაციები უზრუნველყონ სამთო მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს მთელი მუშაობა წარმოებაში დამთავრებული მეცნიერული გამოკვლევების დანერგვისათვის, სასარგებლო წიაღისეული საბადოების გამოვლენისათვის, მათი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა დ. გ. სტურუამ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი).

დღესასწაულობენ ვაჭრობის მუშაკები

თბილისში, მთაწმინდაზე, გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც ვაჭრობის მუშაკთა დღეს მიეძღვნა. მიტინგში მონაწილეობდნენ ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დარგის მოწინავე მუშაკები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. მ. ქაჯაიამ.

წლითიწლობით ფართოვდება სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან ამოქმედდა ათობით ახალი ობიექტი — სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სასადილოები, კაფეები, ახალგაზრდული ბარები. ინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები — თვითმომსახურება, საქონლის შინ მიტანა, მოქმედებს წინასწარი შეკვეთების ცენტრები.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი საზოგადოებრივი კვების ისეთი მოწინავე მუშაკების სახელები, როგორებიც არიან შ. გიორგობიანი, რ. სარიშვილი, რ. ომიაძე. მათ არაერთხელ დაუმსახურებიათ ოქროს მედლები საერთაშორისო დეგუსტაციებზე.

მიტინგზე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გამარჯვებულებს. დაჯილდოებულთა შორის არიან „საქფეხსაცმელვაჭრობის" საბითუმო ბაზის, თბილისის № 41 ქსოვილების მაღაზიის და თბილისის რესტორან „მტკვარის" კოლექტივები. (საქინფორმი).

შენდება გაზსადენი

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება აფხაზეთის ქალაქები და სოფლები, შენდება სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, პრესისა და ტელევიზიის სახლი, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, მიმდინარეობს ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია.

ავტონომიურ რესპუბლიკაში გაზსადენის გაყვანასაც შეუდგნენ. მისი ამოქმედებით სამრეწველო საწარმოებს საშუალება მიეცემათ ისარგებლონ იაფი ბუნებრივი საწვავით, გაზს საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც გამოიყენებენ. წლის დამლევს მაგისტრალურ გაზსადენს გაიყვანენ მდინარე ენგურიდან სოხუმამდე, ტრასის საერთო სიგრძე 80 კილომეტრზე მეტი იქნება.

ამჟამად „საქტრანსგაზის" საწარმოო გაერთიანების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივს მაგისტრალი გაჰყავს გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში. უკვე შესრულდა სამუშაოების მთელი მოცულობის მესამედი, ათვისებულია 36 მილიონი მანეთი.

გაზგამყვანები დამონტაჟების პროგრესული მეთოდებით მუშაობენ. მათ საქართველოში პირველად გამოიყენეს ტრასის ძნელად მისადგომი ტყიან და ჭაობიან უბნებზე ხრახნფრთიანი თანაშემწე — სპეციალური დანიშნულების ვერტმფრენი მი-8. მანქანის ეკიპაჟი არკადი ნათენაძის მეთაურობით გაზის მილებსა და სხვა მოწყობილობას ეზიდება მშენებლობის რთულ უბნებზე. საჰაერო თანაშემწის გამოყენების მეოხებით მშენებლები მნიშვნელოვნად შეამცირებენ გაზსადენის დამონტაჟების ვადებს.

სურათზე: „საქტრანსგაზის" საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ივანე ზაზაშვილი და სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი მერაბ ანთელავა ვერტმფრენავის ეკიპაჟთან ერთად გაზსადენის მშენებლობის ტრასაზე მოწყობილობის გადაზიდვის მარშრუტებს სახავენ.

ი. ჟორჟოლიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„საქართველოს კომუნისტი" № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის 11 ივნისს — პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული საკითხი.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალები.

შემდეგ დაბეჭდილია: საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკის გამოსვლა; ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა; ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლა. აქვე გაეცნობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილის ბიოგრაფიას.

განყოფილებაში „სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად" თქვენ გაეცნობით წერილებს: შ. ყარყარაშვილის — მაღალი მომთხოვნელობის პოზიციებიდან; ო. ჯანელიძის — სამეურნეო ანგარიში და ფასები.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „პარტიის რაიკომი": „ძიება, ინიციატივა, შემართება"; „მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საგანძურიდან"; „იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზზე"; „ჩვენი კალენდარი", „რევოლუციური ბრძოლების ჰეროიკა".

მშვიდობა, მეგობრობა, სოლიდარობა!

XII·MOSKBA·1985

(დასასრული)

მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიაჩნია თავისი საერთაშორისო საქმიანობის განუყოფელ და მთავარ ნაწილად.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ჟაკ პერემ, მექსიკის დელეგაციის წევრმა ფერნანდო რასკონიმ, ბულგარეთის ახალგაზრდობის დიმიტროველი კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სტანკა შოპოვამ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სახელით მიტინგის მონაწილეთ მიესალმა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი ვილმოშ ჩერვენი.

• • •

ლენინგრადის პროსპექტზე კოლონებად მიედინება პლანეტის ახალგაზრდობა. ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახეები საზეიმოც არის და მკაცრიც. ისინი ღღესასწაულობენ ერთმანეთთან შეხვედრას, მაგრამ ყოველ მათგანს აწუხებს ახალი ომის წარმოქმნის საფრთხე.

მანიფესტანტთა კოლონები გამწკრივდნენ „დინამოს“ სტადიონზე, ელექტროტაბლოზე ინთება სიტყვები: „არ გვინდა ომი!“.

იმართება ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც ფესტივალის მეორე დღის ცენტრალური მოვლენაა.

თეთრი და ლურჯი დროშები, საფესტივალო გვირილა ამკობს სპორტულ არენას, რომელიც ფორუმის 50 ათას დელეგატსა და სტუმარს მასპინძლობს. ტრიბუნებზე უზარმაზარი ტრანსპარანტებია: „განვლილი ომის გაკვეთილები არ უნდა დავივიწყოთ“, „გაუმარჯოს ანტიიმპერიალისტურ სოლიდარობას, მშვიდობასა და მეგობრობას!“

სტადიონის ცენტრალურ ლოჟაში არიან ამხანაგები: **ვ. ვ. გრიშინი, ი. ქ. ლიგაჩოვი, პ. ი. რიჟკოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი**, რომელთაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მიტინგის მონაწილენი.

მწვანე მოედანზე ხუთ სხვადასხვა მოდიან ფანფარისტები. პრეზიდიუმისაკენ მიემართებიან ფესტივალის საპატიო სტუმრები — დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ანტიჰიტლერული კოალიციის არმიათა ვეტერანები, წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლები.

გაისმის მეტრონომის ხმა. სტადიონი ფეხზე დგება.

წუთიერი დუმილი... ბუნებაში არა არის რა ამ წუთზე ხანგრძლივი და არც მსოფლიოში — მასზე ხმამაღალი!...

ფესტივალის მონაწილეთა წინადადებით უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ მიემართება დელეგაცია მისი ხსოვნის გირლანდით შესამკობად.

მიტინგზე გამოდიან ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მუდმივი კომისიის მდივან-კოორდინატორი ჟანკლოდ კენედი, საბჭოთა კავშირის გმირი, სამი ხარისხის დიდების ორდენის კავალერი ი. გ. დრაჩენკო, ფესტივალის დელეგატები.

და კვლავ გაისმის — „ხსოვნა!“.. შუქტაბლოზე აკიაფებული ეს სიტყვა დაუფლებია თითოეული ადამიანის გულსა და გონებას.

ახალი ომის აპოლოგეტების მრისხანე გაფრთხილებად გაისმის მშვიდობისადმი ერთგულების ფიცი: „არ გვინდა ომი!“, „გაუმარჯოს მშვიდობას!“, „გაუმარჯოს მეგობრობას!“..

განვლილი ომის, მათგან ყველაზე საზარელის, რაც კი კაცობრიობას გადაუტანია, ხსოვნამ გაუღვივა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს სურვილი ყვავილთა გირლანდით შეემკოთ უცნობი ჯარისკაცის საფლავი. და „დინამოს“ სტადიონზე გამართული მიტინგის მონაწილენიც, საპატიო წრის შემოვლის შემდეგ, პირდაპირ ალექსანდრეს ბაღისაკენ მიემართებიან.

...უცნობი ჯარისკაცის საფლავთან კოლონებად მოდიან სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენლები, რათა პატივი მიაგონ ხსოვნას საბჭოთა მეომრისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტთა უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებაში, მსოფლიო ცივილიზაციის ხსნაში.

20 საათია. საფლავის წითელ გრანიტზე წითელი მიხაკები ხვავდება. მარადიული ცეცხლი ანათებს წარწერას მარმარილოს ფილაზე: „სახელი შენი უცნობია, გმირობა შენი — უკვდავი“.

...კოლონები ალექსანდრეს ბაღს ტოვებენ და კვლავ „დინამოს“ სტადიონისაკენ მიემართებიან.

სიცოცხლის წყურვილით, ოპტიმიზმით, ნათელი მომავლის რწმენით მოხიბლა მაყურებლები თეატრალიზებულმა წარმოდგენამ — „მშვიდობა დაამარცხებს ომს!“ ფორუმის დელეგატები და სტუმრები მოწმენი გახდნენ დაუვიწყარი სანახაობისა, ასე ორგანულად რომ ესატყვისება ფესტივალის კეთილშობილურ დევიზს — „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“...

ფესტივალის დღიური

გვირილა ყველას უღიმის

სამშვიდობო ცა დაჰნათის საფესტივალო მოსკოვს, ძმობა და მეგობრობა, პლანეტის აწმყოსა და მერმისზე ფიქრი დაიბიჯებს მის ფართო ქუჩებში.

და საფესტივალო გვირილა უღიმის ყველას, ვისაც სწამს ამ მერმისის, კაცობრიობის ნათელი ნების — იყოს მშვიდობა მთელ დედამიწაზე!..

დღეს მეოთხე დღეა ფორუმის ოფიციალური გახსნიდან, ცაში პირველი მტრედის აფრთხიალებიდან, მაგრამ თითოეულზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი.

სასაუბროს და ენაწყლიან მოსაუბრეს კი რა გამოლევს — ყველას სურს გაგიზიაროს საკუთარი სიხარული, აქ განცდილი შთაბეჭდილება.

„ცხარე“ საუბარი

მოსკოვის კვების გაერთიანებული ტრესტების უფროსის მოადგილე ა. გრიშინი სიამაყით გვიჩვენებს სამკერდე ნიშანს, რომელზეც გამოსახულია გვირილა, მორბენლის ფიგურა და რომაული ციფრი VI...

— უბრალო სუვენირი არ გეგონოთ, — გვეუბნება იგი, — მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე გახლავართ. მაშინ პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში ვსწავლობდი და რესტორან „არაგვში“ გავდიოდი სტაჟირებას. აქ გავეცანი ქართული სუფრის ადათ-წესებს. სიამოვნებით ვამზადებდი ჩახოხბილსა და ჩაქაფულს, ლობიოსა და საცივს, მწვადსა და ხაჭაპურს... ფესტივალის სტუმართა მომსახურე ჯგუფში რომ ჩამრიცხეს, ვცდილობდი, ყველას მოსწონებოდა ჩემი ნახელავი. და მართლაც, ყველას, განსაკუთრებით კი მექსიკელებს, ბრაზილიელებს, ესპანელებსა და არგენტინელებს ეგემრიელათ ცხარე კერძები. მახსოვს, ფესტივალის შემდეგ ერთმა ბრაზილიელმა ექიმმა (თუ არ ვცდები, სან-პაულუდან გახლდათ) მოგვიანებით წერილი მომწერა და საცივის დამზადების რეცეპტი მთხოვა. ახლაც სპეციალურად გავაფრთხილე მზარეულები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის, მექსიკის, იტალიისა და ესპანეთის დელეგაციებს მოემსახურებიან, უხვად გამოიყენონ მენიუში ქართული კერძები. რეცეპტებიც წინასწარვე გაამზადეთ-მეთქი, ვურჩიე კიდეც. თან მეშინია, იმდენი წიწაკა არ უქნან...

ფირფიტა — რელიქვიად

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში არა და არ ცხრებოდა ოვაციები!...

სხვებზე მეტად შავგვრემან ახალგაზრდათა ჯგუფი აქტიურობდა. ერთ-ერთი მათგანი ნიკარაგუის ახალგაზრდული დელეგაციის წევრი, სამხედრო ჰოსპიტალის ქირურგი ხირომა ერბო ალმოჩნდა:

— დარწმუნებული ვარ,—გვითხრა მან, — ეს ფესტივალი მეტად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობაში. ფესტივალი ხომ იმ ქვეყანაში იმართება, რომლის ხალხმაც პირველმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება.

საქართველო ჩემი სიყვარულია. მან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

შარშან ნანი ბრეგვაძის კონცერტს დავესწარი თქვენი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მერე მისი ფირფიტა რელიქვიად ჩავიტანე მანაგუაში და ჩემს მეგობარს, ნიკარაგუის რევოლუციური ახალგაზრდობის კერპს, კომპოზიტორსა და მომღერალს ლ. ე. მეხია გოდოიას მოვასმენინე. — ფესტივალზე თუ შეხვდე, მომიკითხე და ჩემი კეთილი სურვილები გადაეცი ო — დამაბარა...

დაუვიწყარი საღამო

ვერ გეტყვით, შეხვდება თუ არა ნიკარაგუელი ახალგაზრდა ნანი ბრეგვაძეს (იგი ხომ მედეა გონგლიაშვილთან ერთად, ფესტივალის საპატიო სტუმარია), მაგრამ, სანამ უშუალოდ ინტერვიუს ვთხოვდით, მისი ფირფიტის უჩვეულო „მგზავრობის“ ამბავი ვუამბე და ნიკარაგუელი კომპოზიტორის მოკითხვაც გადავეცი.

— მანაგუაშიც ვმღერი?! — გაიოცა და ბავშვივით გაიმხიარულა.

— თითქოს, გუშინ იყო, — იხსენებს უკვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი და საყოველთაოდ ცნობილი მომღერალი, — პირველად რომ ვიწვიე საფესტივალოდ მორთულ მოსკოვს. 1957 წლის VI მსოფლიო ფესტივალმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

— ჩვენზე... — დასძენს მედეა, და თავადვე აგრძელებს დაწყებულ საუბარს: ფესტივალის კულტურულ პროგრამაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრიც მონაწილეობდა ი. ტულუშის ხელმძღვანელობით. ორკესტრის შემადგენლობაში მხოლოდ ორი გოგონა — მე და ნანი ვიყავით. ნანის სიმღერამ მოხიბლა მაყურებელი და ჩვენს ახალგაზრდულ კოლექტივსაც ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. აქედან მოყოლებული დღემდე გრძელდება ჩვენი მეგობრობა და შემოქმედებითი კონტაქტები. რამდენი ქვეყანა შემოვიარეთ და... თითქოს, უნდა შევჩვეოდი, მაგრამ ყოველი კონცერტის დაწყების წინ, გაუგონარი მღელვარება ამიტანს ხოლმე ერთი მოკლე ფრაზის გაგონებაზე: მღერის ნანი ბრეგვაძე, კონცერტმაისტერი მედეა გონგლიაშვილი...

— მართლაც რომ, დაუვიწყარი იყო 1957 წლის 29 ივლისის საღამო, — იხსენებს ნანი, — წითელი არმიის თეატრის სცენაზე „ჩავაქრე სანთელს“ — ვმღეროდი... მედეა თავდავიწყებით უკრავდა და მისი ჟღერი მთელ ორკესტრს გადასდებოდა...

შალი რომ აიღო, სამარისებური სიჩუმე იდგა. შემეშინდა. უცებ ტაშმა იქუხა.. ეს ჩვენი გამარჯვება იყო!...

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სურათზე: ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი. ყვავილები — მოსკოვის სტუმრებს.
საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

უმაღლესი სასწავლებლის საზრუნავი

კეთილმოსურნეობა, ობიექტურობა, მომკითხველობა

ასეთი დევიზით ეწყობა გამოცდები ინსტიტუტში

მისაღები გამოცდები უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში ფრიად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მომენტია. და არა მარტო სასწავლებლისათვის. არ არის, ალბათ, ჩვენში ოჯახი, კოლექტივი, მისაღები გამოცდების მიმდინარეობა რომ არ აინტერესებდეს.

ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, თითქოს მისაღები გამოცდების მიზანი მხოლოდ აბიტურიენტებით პირველი კურსის დაკომპლექტება იყოს, მისაღები გამოცდები ის ფოკუსია, სადაც ჩანს უმაღლესი სასწავლებლის მთელი მუშაობა პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად, დისციპლინისა და ორგანიზებულობის დონე, უმაღლესი სკოლის სახე. ამასთან მისაღები გამოცდები სოციალური სამართლიანობის პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტის მაჩვენებელიც გახლავთ.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებამ ისეთი ვითარება შექმნა, რომ დღეს საზოგადოება, სავსებით სამართლიანად, არ აპატიებს უმაღლეს სკოლას მუშაობაში მცირე გადახრასაც კი, მტკივნეულად განიცდის მას და უმკაცრეს შეფასებას აძლევს.

ქუთაისის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი თერთმეტი წლის წინათ დაარსდა. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტმა შექმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, მოამზადა კადრები და გარკვეული ტრადიციების დამკვიდრებაც მოასწრო.

პასუხისმგებლობა, მომკითხველობა და ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებლობა — აი, წინამძღვრები, თავიდანვე საფუძვლად რომ დაედო ახალგაზრდა ინსტიტუტის კოლექტივის საქმიანობას.

აი, თითქოს სულ უბრალო მაგალითი: ინსტიტუტის კოლექტივს ყოველ წევრს ჩვევად ექცა, რომ თამბაქოს არათუ აუდიტორიებსა და დერეფნებში, ინსტიტუტის ტერიტორიაზეც არ ეწეოდეს. სხვათა შორის, არც სტუდენტსა და არც პროფესორს არასოდეს უღალატია ერთხელ დადგენილი ამ წესისათვის. ასე ინერგება სტუდენტ ახალგაზრდობაში პატივისცემა კოლექტიური გადაწყვეტილებისადმი.

ინსტიტუტმა ასევე წესად შემოიღო, რომ ნარკომანი, ლოთი, გამოსაფხიზლებელში მოხვედრილი პიროვნება გაძევდეს სასწავლებლიდან.

სასწავლო პროცესი სტუდენტის საქმიანობის მთავარი მხარეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდის საზოგადოებრივი საქმიანობა, რაც მას ორგანიზატორად აყალიბებს. ამ მხრივ ინსტიტუტში მუშაობის ბევრი საინტერესო ფორმაა შექმნილი. ჩვენთან ფართოდ არის გაშლილი კულტმასობრივი მუშაობაც. გვაქვს სტუდენტური კლუბი, საესტრადო ორკესტრი, დისკოკლუბი, სპორტული ბაზები, გვყავს საესტრადო, დრამატული და ქორეოგრაფიული კოლექტივები.

ახალგაზრდას, რომელიც ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აპირებს შემოსვლას, საშუალება აქვს 19 სპეციალობიდან მისთვის სასურველი აირჩიოს. მიიღება წარმოებს კვების, მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის დარგების სხვადასხვა სპეციალობებზე, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე და სხვ.

უმაღლესში მისაღები გამოცდების ორგანიზაცია მარტო გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ყველა აბიტურიენტში სამართლიანობის რწმენის განმტკიცებასაც. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მისაღებ გამოცდებში მონაწილე ყველა ადამიანის ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მინდობილ უბანზე, ფუნქციათა გარკვეულობა, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი, საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, საჯაროობა.

გამოცდები ჩვენთან ტრადიციულად წერითი მეთოდით ეწყობა, ასე რომ, ნებისმიერ დროს შეგვიძლია შევამოწმოთ ნაშრომის შეფასების ობიექტურობა. თუ აბიტურიენტს რაიმე პრეტენზია აქვს, წინასწარ გავცემთ ნაშრომის ფოტოასლს, რითაც მას საშუალებას მივცემთ ერთი-ორი დღის განმავლობაში თვითონ დარწმუნდეს პრეტენზიის სამართლიანობაში და მერე მოვიდეს ჩვენთან. უეჭველია: თუ მისაღები გამოცდების სამართლიანობაზე ნამდვილად ვზრუნავთ, აბიტურიენტის ნაშრომის შეფასებაში დაშვებული ყოველი შეცდომა (რისგანაც არავინ არის დაზღვეული), დაუყოვნებლივ უნდა გასწორდეს. ეს სულაც არ შელახავს უმაღლესი სკოლის, მიმღები კომისიის ავტორიტეტს. პირიქით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ინსტიტუტში მოსული ყველა აბიტურიენტი მისაღები გამოცდიდან გამარჯვებული უნდა გამოდიოდეს. დიახ, გამარჯვებული: ინსტიტუტში ჩარიცხულს უნდა სჯეროდეს, რომ წარმატებას ცოდნით მიაღწია, ხოლო ვისაც ხელი მოეცარა, სტუდენტი ვერ გახდა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ცოდნა სამართლიანად შეფასდა, რომ მომავალში, როცა ისიც სათანადოდ მოემზადება, უთუოდ მიაღწევს წარმატებას. ამ რწმენის ჩანერგვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდის ზნეობრივი აღზრდისათვის.

ჩვენს ინსტიტუტში კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სპეციალობებზე გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მანქანათმშენებლობისა და სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობებზე კი ქიმიის ნაცვლად წერითი გამოცდა იქნება მათემატიკაში. ყველა სპეციალობაზე პირველი გამოცდა მანქანური წესით მოეწყობა. წელს, ექსპერიმენტის სახით, ყველა საგანში, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა, მანქანური წესით გამოცდა მოეწყობა მხოლოდ ორ სპეციალობაზე. ესენია პურის ცხობის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია და სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. ამისათვის ინსტიტუტი დიდი ხანია ემზადება. სკოლებში ჩავატარეთ საცდელი გამოცდები, ასევე იყო ღია კარის დღესაც. ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სანიმუშო ბილეთები, და დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი იწონებს ასეთ გამოცდებს. ვფიქრობთ, მომავალში ეს ჩვენი ექსპერიმენტი ფართოდ გავრცელდება.

მისაღები გამოცდების მთელი მსვლელობა: ანალიზი, ყოველგვარი აღრიცხვა, კონკურსი, ჩარიცხვა, საგამოცდო ფურცლების გაცემა და სხვა თანამედროვე გამომთვლითი ტექნიკის საშუალებით სრულდება. ყოველი აბიტურიენტის ბიოგრაფია შეტანილია გამომთვლელი მანქანების მეხსიერებაში. კონკურსის დროს ე. ი. ჩარიცხვისას, მანქანა ითვალისწინებს გამოცდების შედეგებს და ამასთან ერთად აბიტურიენტის 14 ისეთ სხვადასხვა მონაცემს, როგორიცაა: სტაჟი, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური, სპორტული მიღწევები, პარტიულობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, ოლიმპიადებში გამარჯვება, ითვალისწინებს რეგიონს, საიდანაც აბიტურიენტი ჩამოვიდა, და სხვ. ასეთი ვრცელი და სრულყოფილი ანალიზი მეტად შრომატევადია და მხოლოდ გამომთვლელი მანქანა გვაძლევს საშუალებას ყოველმხრივ გავითვალისწინოთ ახალგაზრდის ნებისმიერი უპირატესობა.

მისაღებ გამოცდებს ვაწყობთ დევიზით: „კეთილმოსურნეობა, ობიექტურობა, მომკითხველობა“. ამ დევიზში სიტყვების განლაგებაც არ არის შემთხვევითი. პირველ ადგილზე დგას კეთილმოსურნეობა. ეს იმიტომ, რომ ობიექტურობა და მომკითხველობა სწორედ ახალგაზრდისადმი კეთილმოსურნეობას უნდა ეყრდნობოდეს. ამიტომ არის, რომ მისაღებ გამოცდებზე ვიწვევთ ინსტიტუტის თანამშრომლებიდან საგულდაგულოდ შერჩეულ პირებს, იმათ, ვისაც ახალგაზრდობისადმი დიდი სიყვარული არ დაიზოგავს დროს და ენერგიას მისაღები გამოცდების ყველა დებულების განუხრელად შესრულებისათვის, ვისაც აქვს თავშეკავებისა და მოთმინების უნარი ყველა კრიზისულ სიტუაციაში.

წერითს გამოცდებზე ჩვენ ვიწვევთ საშუალო სკოლის პედაგოგებს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან. აბიტურიენტის წერითს ნაშრომს სხვადასხვა დარბაზში მყოფი ორი პედაგოგი ასწორებს, შემდეგ ხდება დაწერილ შეფასებათა შედარება. ეს ზრდის შეფასების ობიექტურობას და გამორიცხავს შეცდომის დაშვების შესაძლებლობას.

გულწრფელად ვამბობ: ნაშრომის შეფასებისას ყველა საორჭოფო საკითხს აბიტურიენტის სასარგებლოდ ვწყვეტთ. სიტყვა „დახმარებისა“ არ გვეშინია. აბიტურიენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კანონით გათვალისწინებულ დახმარებას არ მოვაკლებთ, მაგრამ გამოცდები ისეა ორგანიზებული, რომ შეუძლებელია უკანონო დახმარება ნებისმიერი პირისაგან, რა რანგისაც უნდა იყოს იგი.

ინსტიტუტმა დიდი ხანია დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა „შპარგალკას“. მისაღებ გამოცდებზე მისი გამოყენების ცდისთვისაც კი აბიტურიენტს დაუყოვნებლივ ვხსნით გამოცდიდან. ამან ნაყოფი გამოიღო: შარშან მისაღებ გამოცდებზე „შპარგალკის“ გამოყენების მხოლოდ ოთხი შემთხვევა იყო.

„შპარგალკების“ წინააღმდეგ ასეთი შეურიგებელი ბრძოლა ინსტიტუტის საერთო პოლიტიკის გავრცელებაა მისაღებ გამოცდებზე. ცოდნასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის აბიტურიენტის მორალური სახე: ის ახალგაზრდა, რომელიც ცდილობს მოტყუების გზით აჯობოს სხვას, მორალურად არ არის მომწიფებული უმაღლესი სკოლისათვის.

ჩვენ ვცდილობთ, სულ უფრო და უფრო სრულვყოთ მისაღები გამოცდების დემოკრატიზაცია. გამოცდებისათვის მზადების, მისი მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზის დროს ფართოდ ვიყენებთ საზოგადოებრივ აზრს. გამოცდების მიმდინარეობისას რექტორის კარი ნებისმიერ დროს ღიაა როგორც აბიტურიენტების, ისე მშობლებისათვის. სხვათა შორის, საზოგადოებრივ აზრსაც ხომ მშობლების, აბიტურიენტების, მათი მახლობლებისა და სხვათა და სხვათა მოსაზრებები ქმნის.

ჩვენ გვაქვს შთაბეჭდილებათა წიგნი, სადაც მხოლოდ იმ აბიტურიენტთა ჩანაწერებია, წარმატებას რომ ვერ მიაღწიეს. კითხულობ ჩანაწერებს და სიამაყის გრძნობა გეუფლება, როცა კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ადამიანი ობიექტურობის გრძნობას არ კარგავს უაღრესად კრიზისულ სიტუაციაშიც კი.

წლევანდელ მისაღებ გამოცდებს ჩვენ კიდევ უფრო ორგანიზებულად მოვაწყობთ, სწორი ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად გვესახება გამოცდის ყველა მომენტის მკაცრი რეგლამენტირება. წერით გამოცდაზე დილით მოსული აბიტურიენტი 12 საათზე უკვე თავისუფალი იქნება და ზუსტად განსაზღვრულ დროს მოვა ნიშნის გასაგებად ან შინ ტელევიზიით მოისმენს გამოცდის შედეგებს.

მისაღები გამოცდების პროცესში ყოველნაირად ვეცდებით დავიცვათ სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რადგან თუ ამდენი დაპირების შემდეგ ყველაფერი ზუსტად არ შესრულდა, ცხადია, უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტი დაეცემა. ჩვენ კი დიდი ცდით მოპოვებულ წარმატებებს ასე ადვილად ვერ დავთმობთ.

ნოდარ ვალიშვილი,
ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

29 ივლისი ● საქდესი იუწყება

უგანდა

გადატრიალების შემდეგ

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო კამპალიდან იუწყება, სამხედროთა ჯგუფმა ბრიგადის გენერლის ბაზილიო ოლარა ოკელოს მეთაურობით, რომელმაც უგანდაში სამხედრო გადატრიალება მოაწყო და მ. ობოტეს მთავრობა დაამხო, გამოაცხადა, რომ შეჩერებულია კონსტიტუციის მოქმედება და დაიხურა ქვეყნის საზღვრები. რადიოთი გამოსვლისას სამხედროთა წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ შეწყვეტილია საბანკო ოპერაციები და დაპატიმრებულია დამხობილი მთავრობის ყველა მინისტრი. მან მოუწოდა მოქალაქეებს არ გამოვიდნენ შინიდან სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებამდე. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედროები აპირებენ ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების მოწყობას, რომლის ვადა ჯერჯერობით დათქმული არ არის.

მოსახლეობას რადიოთი მიმართა აგრეთვე ბრიგადის გენერალმა ბაზილიო ოლარა ოკელომ. მან განაცხადა, რომ სამხედრო გადატრიალების მიზანია „ტომებს შორის შუღლის აღმოფხვრა და ქვეყნის ერთიანობის განმტკიცება“.

ავსტრია

თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე!

ვენა. ავსტრიის დედაქალაქში დამთავრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის ოცდახუთი ქვეყნის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია.

ცენტრალური საკითხი დისკუსიისა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, იყო მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილების გზების ძიება. კონფერენციის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ თავის გამოსვლებში დაგმო კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გეგმები. დელეგატებმა მხარი დაუჭირეს გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკისაკენ დაბრუნებას. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა შეიქმნას ნდობის ატმოსფერო საერთაშორისო ურთიერთობაში, გაერთიანდეს საზოგადოებრივი აზრი მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტისათვის. სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მზად არიან ყველაზე ფართო და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, რომელიც შეესაბამება მტკიცე მშვიდობის, სხვადასხვა სოციალურ-საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის ინტერესებს.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება, რომელიც უცილობლად ბირთვული იქნება, ახლა კაცობრიობის წინაშე დასახული მთავარი ამოცანაა. მის გადაწყვეტაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ყველა ქვეყნის მეცნიერებმა, მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსის მიუხედავად. მათ ყოველი ღონე უნდა იხმარონ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ საერთაშორისო ვითარების შემდგომ გამწვავებას.

კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ქვეყნის მთავრობებს ხელი შეუწყონ ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას, ესწრაფვოდნენ საიმედო და მტკიცე მშვიდობის დამყარებას, ახორციელებდნენ დაძაბულობის შენელების, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

ჩილე

მთავრობის მორიგი კრიზისი

ბუენოს-აირესი. ჩილეში გადადგნენ ეკონომიკის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები.

არგენტინის პრესის აზრით, მთავრობის მორიგი კრიზისი გამოიწვია ჩილელი ხალხის ანტიდიქტატორული გამოსვლების გაძლიერებამ, პინოჩეტის სისხლიანი მმართველობის შედეგად ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამწვავებამ. ხალხის მასების უკმაყოფილების ზრდას ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომლებმაც ძლიერი დარტყმა მიაყენეს მშრომელთა ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას, ხელისუფალთა მიერ სხვაგვარად მოაზროვნეთა სასტიკმა დევნამ.

მაროკო

ლიდერთა შეხვედრა

რაბათი. მაროკოს მეფემ ჰასან მეორემ გამოაცხადა, რომ 7 აგვისტოს მაროკოში გაიმართება არაბული სახელმწიფოების სპეციალური შეხვედრა უმაღლეს დონეზე. როგორც იუწყებიან, მეფემ წერილი გაუგზავნა არაბული სახელმწიფოების მეთაურებს და მიიწვია შეხვედრაში მონაწილეობისათვის. რაბათში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰასან მეორემ განაცხადა, რომ არაბული ქვეყნების ლიდერები შეხვედრაზე განიხილავენ ლიბანის ვითარებას, პალესტინის პრობლემასა და არაბებს შორის ურთიერთობის საკითხებს.

ინდოეთი

ექსტრემისტთა აღსაკვეთად

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ გამოაცხადა, რომ ამიერიდან რესპუბლიკის მთავრობა და სიქჰთა აკალი დალის პარტია ერთობლივად იმოქმედებენ პენჯაბელ ექსტრემისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთის მიზნით.

როგორც იუნის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ქალაქ გოტმეში (ოროსის შტატი) მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას, რაჯივ განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრალურ მთავრობასა და აკალი დალის პარტიის ხელმძღვანელობას შორის პენჯაბის შტატში ვითარების მოწესრიგების თაობაზე შეთანხმების დადების შემდეგ მკვეთრად გააქტიურდება ძალისხმევა იქ ტერორიზმის აღმოსაფხვრელად

ფოტოფაქტი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

აგრესიის ახალი აქტი

რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხედრიონმა აგრესიის ახალი აქტი ჩაიდინა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, სამხრეთაფრიკული არმიის ქვეგანაყოფები ამას წინათ შეიჭრნენ ანგოლაში უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიიდან. აგრესორებმა ანგოლის ტერიტორიაზე 10-15 კილომეტრის სიღრმეში შეაღწიეს. რეიდის დროს იყო მსხვერპლი.

რასისტთა ბანდიტური მოქმედება ამხილებს პრეტორიის მტკიცებათა სიყალბეს, თითქოს მთლიანად გაეყვანოს თავისი ჯარები ანგოლის ტერიტორიიდან.

სურათზე: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცები ანგოლის საზღვართან ნამიბიაში.

კამერა პრეს-საქდესის ფოტო.

განიარაღება დროის მოთხოვნაა



ჩვენ უარს ვამბობთ!

დასავლეთგერმანელ მეცნიერთა ღია წერილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. კოლს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტის 850-მა მეცნიერმა თავიანთ ღია წერილში განაცხადეს, რომ უარს ამბობენ „კოსმოსური ომების“ მომზადების პროგრამაში მონაწილეობაზე. წერილში კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ, ამ წერილის ხელმომწერი საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა დარგის მკვლევარები, ვადასტურებთ ჩვენს ნეგატიურ პოზიციას ეგრეთ წოდებული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროექტის და ამ პროექტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობის მიმართ.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროექტი ნიშნავს შეიარაღების სისტემების განლაგებას კოსმოსურ სივრცეში. ამ მილიტარისტული ჩანაფიქრის მასშტაბი თვისებრივად მხოლოდ საკონტინენტთაშორისო რაკეტების შეიარაღებას თუ შეედრება.

წინასწარ მცდარია მტკიცება, თითქოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა აღკვეთს ბირთვულ დაშინებასა და საფრთხეს. არავის ძალუძს ზუსტად განჭვრიტოს, რამდენად სრულყოფილია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, სანამ საბრძოლო მოქმედება არ დაიწყება. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა მხოლოდ აიძულებს მეორე მხარეს სხვა ღონისძიებებთან ერთად გაზარდოს თავისი რაკეტების არსენალი და ამდენად გააქარწყლოს განიარაღების საბოლოო იმედი.

„სტრატეგიული თავდაცვა“ მისი შექმნის ფაზაშიც კი მადესტაბილიზებელი ფაქტორი გახდება, რადგან უკვე არსებულ შეტევით იარაღთან ერთად იგი იქნება ახალი ერთიანი სისტემა, რომელიც ბევრად უფრო მეტად, ვიდრე წინათ, უბიძგებს პირველი ან პრევენტული დარტყმისათვის.

ბოლო ფაზა კი ისე წარმოუდგენიათ, რომ ამერიკა მიუწვდომელი იქნება მოწინააღმდეგის იარაღისათვის. ვინც მას პირველი მიაღწევს, თითქოს შეეძლება აწარმოოს შეზღუდული ომები და სრულიად ურისკოდ, დააშანტაჟოს მეორე მხარე, მაშასადამე, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა არ არის წმინდა წყლის „თავდაცვითი“ ინიციატივა.

ჩვენ სრულ უპასუხისმგებლობად მიგვაჩნია ესოდენ უზარმაზარი მეცნიერული და ფინანსური პოტენციალი ჩამოვაშოროთ ისეთ გაცილებით უფრო საჭირო პრობლემებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, უმუშევრობისა და უწინარეს ყოვლისა შიმშილის აღმოფხვრა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.

ჩვენ შემზარავ ცინიზმად მიგვაჩნია მტკიცება, რომ უნდა ვმონაწილეობდეთ ახალი იარაღის შექმნაში, რათა მოწინავე პოზიციები შევინარჩუნოთ ტექნოლოგიის დარგში. როგორც იაპონიის მაგალითი ცხადყოფს, ეს მტკიცება ჩანასახშივე მცდარია.

ცენტრალურ ევროპაში განლაგებული მასობრივი მოსპობის საშუალებათა თითქმის ნახევარი „ტაქტიკური“ დანიშნულებისაა. ვერც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, ვერც სხვა ტექნოლოგიური სიახლენი ვერ გვიხსნის მათთან დაკავშირებული საფრთხისაგან. საფრთხეს გლობალური მნიშვნელობა ექნება, სანამ ხელს არ ავიღებთ სადავო საკითხების სამხედრო კონფრონტაციის გზით გადაწყვეტის ცდებზე. კატასტროფებს თავიდან ავიცილებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვისწავლით დავის პოლიტიკური საშუალებებით, ესე იგი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ, ვისაც ეს ყველაზე მეტად გვეხება, ვაცხადებთ: ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობას განვუმარტოთ დასახული გეგმების ავბედითი არსი.

ჩვენ უარს ვამბობთ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროექტის სამუშაოებში მონაწილეობაზე!

ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომელსაც ბევრი ამერიკელი მეცნიერი ადგას, ასე რომ ვეცდევით, ჩვენ გეტინგენის მეტომე მეცნიერთა მაგალითი გვიდევს წინ, რომლებმაც 1957 წლის აპრილში უარი თქვეს რაიმე ფორმით მონაწილეობა მიეღოთ ატომური იარაღის შექმნაში, გამოცდასა და პრაქტიკულ გამოყენებაში.

ხელოვნების საზაფხულო მარშრუტები

მუსიკისაკენ აღმასვლა

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი ბიჭვინთისა და გაგრის მსმენელებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის მეთვრამეტე სეზონს იწყებს. 3 აგვისტოს კოლექტივი თავისი მთავარი დირიჟორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით მსმენელებს მიიწვევს კლასიკური მუსიკის პირველ კონცერტზე. ეს კონცერტი გახდება სიმფონიური მუსიკის ფესტივალის „ბიჭვინთა-85"-ის თავისებური უვერტიურა.

სწორედ ტრადიციული სიმფონიური კონცერტების პოპულარობამ წარმოშვა იდეა, რომ წლევანდელი ზაფხულიდან მოეწყოს ხომე ფესტივალი.

მუსიკალურ დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის საუკეთესო შემსრულებლები. სადირიჟორო პულტთან დადგებიან ესტონეთის სახალხო არტისტები ე. კლასი, ე. ლილიე, ლიტვის სსრ სახალხო არტისტი ი. ალექსა, მოლდავეთის დამსახურებული არტისტი დ. გოია.

ერთი თვის მანძილზე ორკესტრი მსმენელებს გააცნობს რუსული და საზღვარგარეთული კლასიკის, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

თვრამეტი სეზონი — თვრამეტი საფეხური მუსიკალური კულტურის მწვერვალებისაკენ. შავი ზღვის კურორტების ათასობით მშრომელი და სტუმარი, რომლებმაც სიხარული განიცადეს იმის გამო, რომ ეზიარნენ კლასიკური მუსიკის მაღალ ხელოვნებას, მადლობელი არიან ამისათვის საქართველოს სიმფონიური ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის ჯანსუღ კახიძისა, რომელმაც გაიტაცა კოლექტივი თავისი დაუოკებელი ენერგიით, მუსიკის მხურვალე სიყვარულით. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა სხვადასხვა ეპოქისა და სტილის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. თხზულებაზე მუშაობისას დირიჟორი ისწრაფვის, აღმოაჩინოს იქ ახალი ნიუანსები, ახლებურად შეასრულოს იგი. ასე კითხულობს მუსიკოსი ბეთჰოვენსა და ვაგნერს, ბერსტაინსა და გერშვინს, ჩაიკოვსკისა და რახმანინოვს, პროკოფიევსა და შოსტაკოვიჩს... ამასთანავე ორკესტრი და მისი ხელმძღვანელი ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების მგზნებარე პოპულარიზატორები და მათი ნაწარმოებების ჩინებული ინტერპრეტატორები არიან.

ორკესტრისათვის უცხოა ჩვეულებრივი კონცერტები. თითოეული მათგანი დიდი შემოქმედებითი გამოცდაა. მაგალითად, ბიჭვინთის ფესტივალის დამთავრების შემდეგ, საკონცერტო სეზონის გახსნამდე იგი გამოვა თბილისის ორჯონიკიძის სახელობისა და გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკებში. 28 ოქტომბერს კი ახალი სეზონის პირველ კონცერტზე, რომელიც იოჰან სებასტიან ბახის დაბადების 300 წლისთავს მიეძღვნება, ორკესტრი შეასრულებს ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის ნაწარმოებებს.

(საქინფორმი).

ფეხბურთი

ნაკრები ემზადება

გასულ კვირა დღეს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდების საწვრთნელი მატჩი. შეხვედრა მოიგო პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 8:1. [illegible]

ივე შეხვედრა უკანასკნელი ეტაპი იქნება მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი შერჩევითი მატჩების წინ. საბჭოთა ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირის [illegible]

„ფმიძლი ძმაო მარო!"

[illegible]

სატურნირო ორბიტა

[illegible]

ქრონიკა

[illegible]

რედაქტორის მოადგილე ა. გოგოლაძე.

[illegible]

ნახეთ, ხომ არ მოგიგიათ?

ოფიციალური ცნობა

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1985 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1985 წლის 25 ივლისს ქ. ვანში. ტირაჟში გათამაშდა 860.000 მანეთის 199 ნივთმოგება და 199.801 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
20002	494*)	20 მანეთი	—
20004	893*)	5 მანეთი	—
20017	864*)	20 მანეთი	—
20022	802*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	180—00
20027	252*)	20 მანეთი	—
20037	144*)	5 მანეთი	—
20047	466*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20048	269*)	20 მანეთი	—
20051	097*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20056	228*)	მტვერსასრუტი	87—00
20069	811*)	40 მანეთი	—
20088	058*)	მტვერსასრუტი	87—00
20096	045*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20107	410*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20111	008*)	5 მანეთი	—
20117	286*)	20 მანეთი	—
20129	868*)	20 მანეთი	—
20130	891*)	5 მანეთი	—
20158	068*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20167	042*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20169	471*)	5 მანეთი	—
20183	881*)	20 მანეთი	—
20184	108*)	50 მანეთი	—
20214	244*)	40 მანეთი	—
20236	224*)	20 მანეთი	—
20239	857*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20274	020*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20287	868*)	20 მანეთი	—
20288	258*)	5 მანეთი	—
20306	188*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20310	467*)	მტვერსასრუტი	87—00
20341	049*)	5 მანეთი	—
20367	271*)	5 მანეთი	—
20370	200*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21068	9100—00
20376	474*)	20 მანეთი	—
20394	098*)	50 მანეთი	—
20405	014*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20408	280*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
20413	285*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20417	056*)	5 მანეთი	—
20424	449*)	40 მანეთი	—
20443	492*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20451	106*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20452	329*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20455	028*)	20 მანეთი	—
20473	468*)	ელექტრომიქსერი	24—00
20497	200*)	5 მანეთი	—
20508	264*)	40 მანეთი	—
20518	217*)	20 მანეთი	—
20524	417*)	20 მანეთი	—
20534	899*)	5 მანეთი	—
20546	151*)	20 მანეთი	—
20547	171*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20554	098*)	მტვერსასრუტი	87—00
20569	848*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20584	891*)	20 მანეთი	—
20610	468*)	მტვერსასრუტი	87—00
20636	274*)	ელექტრომიქსერი	24—00
20647	048*)	20 მანეთი	—
20659	878*)	20 მანეთი	—
20660	444*)	20 მანეთი	—
20670	185*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20675	055*)	20 მანეთი	—
20676	080*)	40 მანეთი	—
20687	296*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	281—00
20688	218*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20695	151*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20697	448*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20712	296*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
20715	448*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21018	7800—00
20717	422*)	მტვერსასრუტი	87—00
20728	046*)	5 მანეთი	—
20745	184*)	20 მანეთი	—
20762	267*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	281—00
20775	476*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20793	289*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	281—00
20795	050*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20803	288*)	ელექტრომიქსერი	24—00
20819	068*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2105	8200—00
20820	275*)	მტვერსასრუტი	87—00
20832	140*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
20844	417*)	20 მანეთი	—
20847	826*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20848	001*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20864	049*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20872	1-500	15 მანეთი	—
20886	179*)	40 მანეთი	—
20889	195*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
20895	400*)	20 მანეთი	—
20900	051*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20901	138*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
20903	848*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
20920	201*)	20 მანეთი	—
20978	820*)	40 მანეთი	—
21010	888*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
21015	054*)	ელექტრომიქსერი	24—00
21023	117*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21039	868*)	40 მანეთი	—
21040	186*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
21044	275*)	40 მანეთი	—
21054	861*)	5 მანეთი	—
21062	449*)	20 მანეთი	—
21066	888*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21085	189*)	მტვერსასრუტი	87—00
21093	846*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21098	885*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21114	078*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	281—00
21115	098*)	50 მანეთი	—
21116	112*)	5 მანეთი	—
21128	884*)	20 მანეთი	—
21140	884*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
21147	810*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21157	198*)	20 მანეთი	—
21169	860*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21170	248*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21196	045*)	20 მანეთი	—
[illegible]			
21304	248*)	20 მანეთი	—
21307	448*)	20 მანეთი	—
21310	191*)	20 მანეთი	—
21321	875*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21068	9100—00
21337	020*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21340	875*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21343	089*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21354	140*)	20 მანეთი	—
21358	158*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21383	086*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21394	214*)	მტვერსასრუტი	87—00
21414	177*)	5 მანეთი	—
21426	885*)	20 მანეთი	—
21441	088*)	20 მანეთი	—
21445	144*)	მტვერსასრუტი	87—00
21446	202*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21447	260*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21450	220*)	5 მანეთი	—
21461	086*)	5 მანეთი	—
21479	489*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21485	017*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21492	302*)	20 მანეთი	—
21493	112*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21499	181*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21503	220*)	50 მანეთი	—
21506	898*)	5 მანეთი	—
21510	178*)	20 მანეთი	—
21535	156*)	5 მანეთი	—
21542	292*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21545	021*)	20 მანეთი	—
21549	195*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21551	182*)	20 მანეთი	—
21552	129*)	20 მანეთი	—
21555	277*)	40 მანეთი	—
21572	048*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21575	453*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21593	143*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21607	098*)	20 მანეთი	—
21630	405*)	20 მანეთი	—
21637	063*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21653	080*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21663	098*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21018	7800—00
21664	296*)	5 მანეთი	—
21671	291*)	5 მანეთი	—
21674	477*)	5 მანეთი	—
21696	018*)	20 მანეთი	—
21698	085*)	5 მანეთი	—
21701	899*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21707	182*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21710	020*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21721	818*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21724	274*)	მტვერსასრუტი	87—00
21738	844*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21740	161*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21744	056*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21748	247*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21752	446*)	20 მანეთი	—
21764	185*)	5 მანეთი	—
21796	056*)	20 მანეთი	—
21811	271*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
21819	482*)	5 მანეთი	—
21824	201*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21836	418*)	20 მანეთი	—
21842	182*)	მტვერსასრუტი	87—00
21855	407*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
21863	106*)	ელექტრომიქსერი	24—00
21894	245*)	20 მანეთი	—
21909	109*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21929	064*)	5 მანეთი	—
21934	217*)	20 მანეთი	—
21944	027*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21960	202*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21963	829*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
21964	840*)	20 მანეთი	—
21967	464*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
21968	025*)	40 მანეთი	—
21999	285*)	5 მანეთი	—
22019	288*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
22022	281*)	5 მანეთი	—
22035	445*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22050	281*)	5 მანეთი	—
22051	117*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22057	418*)	5 მანეთი	—
22137	442*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
22166	447*)	5 მანეთი	—
22168	182*)	ახი ლატარის ბილეთი	80—00
22186	445*)	ელექტრომიქსერი	24—00
221[illegible]8	292*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	281—00
22194	486*)	20 მანეთი	—
22220	488*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
22230	494*)	40 მანეთი	—
22235	424*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22236	139*)	ელექტრომიქსერი	24—00
22237	848*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
22265	418*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
22266	055*)	50 მანეთი	—
22273	417*)	ელექტრომიქსერი	24—00
22276	140*)	20 მანეთი	—
22322	446*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22347	289*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22349	225*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22356	100*)	20 მანეთი	—
22367	1-500	10 მანეთი	—
22380	488*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
22385	178*)	50 მანეთი	—
22387	205*)	20 მანეთი	—
22400	410*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22424	450*)	5 მანეთი	—
22452	482*)	20 მანეთი	—
22458	045*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
22459	184*)	20 მანეთი	—
22462	177*)	20 მანეთი	—
22491	887*)	მტვერსასრუტი	87—00
22494	118*)	20 მანეთი	—
22503	464*)	20 მანეთი	—
22527	210*)	5 მანეთი	—
22531	407*)	20 მანეთი	—
22537	146*)	5 მანეთი	—
22546	203*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22550	008*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
22564	185*)	20 მანეთი	—
22590	016*)	20 მანეთი	—
22592	087*)	20 მანეთი	—
22598	018*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22607	016*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22622	226*)	20 მანეთი	—
22624	868*)	20 მანეთი	—
[illegible]			
22729	894*)	20 მანეთი	—
22742	088*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22746	458*)	20 მანეთი	—
22758	099*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
22770	240*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
22778	158*)	მტვერსასრუტი	87—00
22788	457*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22819	255*)	20 მანეთი	—
22822	258*)	20 მანეთი	—
22830	299*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22831	454*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22836	094*)	5 მანეთი	—
22840	1-500	10 მანეთი	—
22844	084*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22860	107*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2105	8200—00
22864	288*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
22869	142*)	50 მანეთი	—
22879	450*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22880	080*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22888	488*)	20 მანეთი	—
22892	079*)	40 მანეთი	—
22915	076*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
22916	199*)	20 მანეთი	—
22926	815*)	5 მანეთი	—
22929	871*)	5 მანეთი	—
22957	054*)	5 მანეთი	—
22965	478*)	40 მანეთი	—
22973	201*)	40 მანეთი	—
23008	240*)	მტვერსასრუტი	87—00
23012	164*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23015	894*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
23019	825*)	20 მანეთი	—
23031	005*)	ელექტრომიქსერი	24—00
23039	175*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23064	179*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
23065	889*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
23110	248*)	მტვერსასრუტი	87—00
23141	455*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21068	9100—00
23147	274*)	5 მანეთი	—
23157	152*)	20 მანეთი	—
23161	029*)	20 მანეთი	—
23188	078*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
23189	082*)	20 მანეთი	—
23197	206*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23210	808*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23212	088*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23213	202*)	40 მანეთი	—
23214	099*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23222	885*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23228	141*)	20 მანეთი	—
23231	169*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23241	248*)	5 მანეთი	—
23261	886*)	მტვერსასრუტი	87—00
23271	295*)	5 მანეთი	—
23272	425*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23297	886*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
23299	817*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
23300	814*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23302	885*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23305	068*)	20 მანეთი	—
23309	288*)	20 მანეთი	—
23314	844*)	5 მანეთი	—
23325	866*)	20 მანეთი	—
23331	158*)	20 მანეთი	—
23333	157*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23337	861*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23345	456*)	20 მანეთი	—
23347	117*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23366	812*)	5 მანეთი	—
23409	861*)	20 მანეთი	—
23421	118*)	20 მანეთი	—
23428	446*)	20 მანეთი	—
23449	248*)	20 მანეთი	—
23458	887*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
23470	898*)	20 მანეთი	—
23474	807*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
23495	272*)	5 მანეთი	—
23505	067*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23514	125*)	5 მანეთი	—
23527	016*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
23545	482*)	მტვერსასრუტი	87—00
23551	126*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
23556	055*)	40 მანეთი	—
23557	082*)	20 მანეთი	—
23560	146*)	ელექტრომიქსერი	24—00
23568	178*)	20 მანეთი	—
23572	026*)	5 მანეთი	—
23574	857*)	20 მანეთი	—
23578	8[illegible]5*)	20 მანეთი	—
23591	460*)	20 მანეთი	—
23606	229*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23618	294*)	20 მანეთი	—
23635	054*)	20 მანეთი	—
23644	278*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23646	056*)	ახი მანეთი	—
23659	012*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
23663	088*)	20 მანეთი	—
23664	885*)	5 მანეთი	—
23677	009*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23701	849*)	5 მანეთი	—
23727	057*)	20 მანეთი	—
23733	815*)	ავტომანქანა „ვოლგა"-გაზ 24	15000—00
23748	029*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23753	143*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23764	850*)	მტვერსასრუტი	87—00
23777	045*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
23778	269*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23786	010*)	5 მანეთი	—
23792	878*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23793	828*)	50 მანეთი	—
23796	010*)	5 მანეთი	—
23800	125*)	40 მანეთი	—
23805	1-500	15 მანეთი	—
23815	048*)	20 მანეთი	—
23830	010*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23831	498*)	5 მანეთი	—
23837	088*)	20 მანეთი	—
23846	287*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23851	858*)	5 მანეთი	—
23861	082*)	20 მანეთი	—
23864	488*)	20 მანეთი	—
23884	084*)	20 მანეთი	—
23897	184*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23902	189*)	5 მანეთი	—
23910	198*)	ახი ლატარიის ბილეთი	80—00
23918	177*)	20 მანეთი	—
23920	380*)	მაცივარი „მინსკი"	480—00
[illegible]			

[illegible]

მოგებათა მიღების წესი

[illegible]